



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №5. მაისი. 2013.

გილოცავთ თამარბაბას!



დედოფალი სრულიად საქართველოსი, შოთა რუსთაველისა და სხვა პოეტების შთაგონების უმრეტი წყარო, დედა ყველა გაჭირვებულისა და უპოვარისა, შემ-

წყალე და მლოცველი ყველასათვის – თამარი. 14-მაისს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია თამარ მეფის ხსენებას აღნიშნავს.

საოცარია, რომ საქართველოს უმწვერვალეს სამხედრო ძლიერების დროს ისტორიამ ნაზ და სათუთ არსებას, ქალს არგუნა მეფობა. ზოგნი თამარის წარმატებას გამჭრიახ მთავარსარდლებს მიაწერენ, ზოგნიც მემკვიდრეობით მიღებულ აწყობილ ქვეყანას; იყო ერთი და მეორეც, მაგრამ ძლიერი და აყვავებული ქვეყანა, ძირითადად, მისი პიროვნების დამსახურება და იმ მაღლის შედეგი იყო, უფლის თვალში რომ ჰპოვა საკუთარი ღვთისმოსიებით, გონიერებით, წრფელი ლოცვით. მას პატივს სცემდნენ არაქართველებიც. თამარს, ბევრ სხვა მაღალ თვისებასთან ერთად, ახასიათებდა მეზობელთა მოყვარეობა და ყველასადმი ღმობიერება, „მონყალეა თანა-ღმობელი“ და, რაც მთავარია, ყმადნაფიც ქვეყნების უდიდესი მფარველობა, სიკეთე და სამართლიანობა, გონიერების ზეობა, მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, ეროვნებისა და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად. ეს დამახასიათებელი იყო თამარის პოლიტიკისთვის და ის ეფუძნებოდა ქრისტიანული სარწმუნოების მიერ ქადაგებულ კაცთმოყვარებას. მის ამ სიკეთეს გასაოცარი სიყვარულით უპასუხეს არაქართველმა ხალხებმა. ისინი საუკუნეების მანძილზე აქებდნენ მას, უძღვნიდნენ ლექსებს, სიმღერებს, ლეგენდებს. თამარი ზრუნავდა ადამიანების საყოველთაო კეთილდღეობისთვის. მის დროს ფაქტობრივად მოისპო სიკვდილით დასჯა. ესეც წინანდგმული ნაბიჯი იყო იმ დროის ქვეყნებთან შედარებით; მით უმეტეს, რომ სიკვდილით დასჯა დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში ახლახან აიკრძალა. აღსანიშნავია, რომ თამარი სახელმწიფო შემოსავლის მე-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

პროგრამირებაში ახალბიძოს ილია ვაჩუასადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო ოლიმპიადი გაიხსნა

აკადემიკოს ილია ვეკუასადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო ოლიმპიადი გაიხსნა პროგრამირებაში. პირველობაში საქართველოს, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები მონაწილეობენ. საუკეთესო პროგრამისტების გამოსავლენად ტურები რამდენიმე დღის განმავლობაში ერთდროულად გაიმართება ბათუმის, ნოვოსიბირსკის, მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. ოლიმპიადაზე აკადემიკოს ილია ვეკუას თასის მფლობელის გარდა გამოვლინდება საუკეთესო გუნდები ნიკო მუსხელიშვილის, ივერი ფრანგიშვილისა და ეგგენი პანკრატიევის სახელობის პრიზის მისაღებად.



საერთაშორისო ოლიმპიადი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და პროგრამირების მხარდაჭერის ასოციაციის ორგანიზებით ტარდება.

„თამარობა 800“

თამარ მეფის ხსენების დღეს მიეძღვნა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული შემოქმედებითი საღამო „თამარობა 800“. განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიისა და თურქეთისმცოდნეობის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტებმა თეატრალური წარმოდგენით კიდევ ერთხელ გაიხსენეს თამარ დედოფლის ცხოვრება, მოღვაწეობა და საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდი. უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 2013 წელი თამარ მეფის წლად გამოცხადდა.



სემინარი ევროკავშირის ურთიერთობებსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურების ინტეგრაციის საკითხებზე

საინფორმაციო ცენტრის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ხელმძღვანელმა ელენე გოცაძემ და მოადგილემ გიორგი კეპულაძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სემინარი ჩაატარეს. საქართველოს, ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხები განიხილეს. ასევე ისაუბრეს სამომავლო გეგმებსა და სამეზობლო პოლიტიკით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარმართა და ცენტრის წარმომადგენლებმა ახალგაზრდების აქტიუალურ შეკითხვებს უპასუხეს.



„სტუდენტთა სტაჟირება და დასაქმება - სოციალური გამოწვევა“

საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ორგანიზებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისკუსია გაიმართა თემაზე: „სტუდენტთა სტაჟირება და დასაქმება - სოციალური გამოწვევა“. სოციალურ, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტები აჭარის დასაქმების სააგენტოს, აჭარის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად აქტიუალურ საკითხზე რამდენიმე საათის განმავლობაში მსჯელობდნენ. დისკუსიაზე წარმოდგენილი დასკვნები და მოსაზრებები საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის იურიდიული კომიტეტის კანონ-პროექტში აისახება, რომელიც განსახილველად საქართველოს პარლამენტს გადაეცემა.





ეილოცაქო თაძაოჭაქ!

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

თედს ღარიბებს აძლევდა. „გლახაკო ნათალი“ ახალი ამბავი არ იყო კულტურულ აღმოსავლეთში, მაგრამ მას ახდევინებდნენ ყველას, აქ კი ამ საქმეს თავად სახელმწიფო იღებდა საკუთარ თავზე და საკუთარი შემოსავლიდან იხდიდა. წმ. თამარ მეფის დროს აშენდა იკორთის, სამთავროს, ბერთუბნის, ბეთანიისა და სხვა მრავალი ტაძრები. არა ერთი ეკლესია აიგო ოსეთსა და ჩერქეზეთშიც. დიდებული ვარძია, რომელიც მსოფლიოს საოცრებად მოინათლა, თამარის სახელთანაა დაკავშირებული. როგორ შეძლო თამარმა ასეთი ძლიერი სახელმწიფოს შექმნა?! მას ხომ არც აღმოსავლეთისკენ მიუპყრია თვალები, არც დასავლეთისკენ გაუშვერია ხელი, არც ჩრდილოეთში უძებნია მფარველი და არც სამხრეთში! მას, მინიერი შემნის უარმყოფელს, ზეაპყრობილი ჰქონდა

მზერა ღვთისკენ და ერთადერთს მას სასოებდა. „დედოფალო ნეტარო, განუღე კარი მონყალებისა ერსა შენსა ივერიისასა“, - არაერთხელ წარმოუთქვამთ თვალცრემლიანი მეფის ბაგეებს. ღვთის სიტყვის თანახმად, ვინც ითხოვს, ის ღებულობს კიდევც. ლომის ძუ ლეკვი ჭეშმარიტად სწორი შეიქმნა ხვადის.

თამარის პიროვნების, მისი სიბრძნის, უმანკო, ყოვლადმონყალე განურისხებელი გულისა და მოღვაწეობის შეფასებისას, მისი ეზოსმოძღვარი ასეთ რამეს ამბობს: „რამეთუ ვითარ თმანი თავის თითოეულად ვერავინ აღრაცხნის, ეგრეთვე ვერავინ აღწერნეს საქმენი თამარისნი-ო“. ამიტომ იქცა თამარი ქართველი კაცის მარადიულ გულისთქმად, სიყვარულის ნყაროდ, ზნეობრივ სინათლედ, ეროვნულ სიდიადედ, მშობლიური ხალხის უკვდავებად და მომავლის იმედად.

ოთარ გომოლიშვილი

ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი

ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტის რექტორი მეჰმედ დუმანი პრორექტორთან და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ერთად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ ალიოშა ბაკურიძესთან და ფაკულტეტების დეკანებთან გამართულ შეხვედრაზე ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების „Mevlana“-ს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას. საერთაშორისო გაცვლით პროგრამას თურქეთის უმაღლესი განათლების აღმასრულებელი საბჭო აფინანსებს და მიზნად ისახავს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლას თურქეთისა და უცხოეთის სხვა უმაღლეს სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში.



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტური დღეები „აჭარა 2013“-ის გამარჯვებული „აჭარა 2013“-ის გამარჯვებული



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტური დღეები „აჭარა 2013“-ის გამარჯვებულია. კომპეტენტურმა ჟიურმა 6 მაისის პარკში გამართულ დასკვნით კონცერტზე ხუთ ნომინაციას შორის პირველობა ბსუ-ს სტუდენტებს მიაკუთვნა. ახალგაზრდებმა სპორტულ ღონისძიებებს შორის წარმატებას მიაღწიეს ფეხბურთსა და ქუჩის კალათბურთში. თანამედროვე ცეკვების ჯგუფმა „M style 13“-მა ცეკვა „აფრიკულის“ შესრულებით საუკეთესო ორიგინალური ნომრის ნომინაციაში გაიმარჯვა და განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა თამთა მამულაძემ „მის-უნივერსიტეტის“ ტიტული მოიპოვა. სტუდენტური დღეები „აჭარა 2013“-ში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისა და ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის 150-მდე სტუდენტი მონაწილეობდა.

უნივერსიტეტში ევროპის დღის ხვირული გაიმართა დავითით - „გზა ევროპისაკენ“



ევროპის დღის კვირეულის ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის, სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებითა და ბათუმის საკრებულოს მხარდაჭერით დღეებით - „გზა ევროპისაკენ“ ველომარათონი და სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

ველომარათონის მონაწილე 40-მდე სტუდენტმა სტარტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეზოდან აიღო და 6 მაისის პარკის გავლით სიმბოლურად ევროპის მოედნისაკენ გაემართა. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპისმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებმა მოხსენებები წარმოადგინეს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ევროკავშირი გლობალური ფაქტორი, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები ისტორიულ ჭრილში. ევროკომისიამ 2013 წელი მოქალაქეთა ევროპულ წლად გამოაცხადა.

„რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორია და თანამედროვეობა“

სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის ორგანიზებით, სტუდენტური თვითმმართველობისა და სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის მხარდაჭერით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონფერენცია გაიმართა თემაზე: „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორია და თანამედროვეობა“. სესიაზე მოხსენებები იყო წარმოდგენილი ისეთ საკითხებზე, როგორცაა: რუსეთ-საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესები ჩრდილოეთ კავკასიაში და საერთაშორისო ურთიერთობები XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე. კონფერენციის ფარგლებში დისკუსია გაიმართა, რომელშიც სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, უმაღლესი საბჭოს წევრი აკაკი ძნელაძე, საქართველოს ყოფილი ელჩი საბერძნეთში ირაკლი თავართქილაძე და საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.



პირველობა მინიფეხბურთში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველობა ჩატარდა მინიფეხბურთში. შეჯიბრი სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა და მასში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 32 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში ერთმანეთს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის გუნდი „მანჩესტერი“ და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის გუნდი „სკუდრა სოციალი“ დაუპირისპირდა, შეხვედრა ანგარიშით 3:2 დასრულდა. კომპეტენტურმა ჟიურმა ჩემპიონატის მონაწილე სტუდენტებს შორის საუკეთესო ფეხბურთელად მამუკა დევაძე დაასახელა (გუნდი „ბაბულიკები“), საუკეთესო ბომბარდირად - ირაკლი მიქელაძე (გუნდი „ლეიკერსი“), ხოლო საუკეთესო მეკარედ - სულხან დუმბაძე (გუნდი „სკუდრა სოციალი“). გამარჯვებული გუნდის „მანჩესტერის“ წევრები სიგელებით, თასითა და მედლებით დაჯილდოვდნენ და საუკეთესო მოთამაშეებთან, მსაჯთან და ორგანიზატორებთან ერთად ექსკურსიაზე რაბათში გაემგზავრებინ.



ერაზმუს მუნდუსის „WEBB“ პროგრამის გრანტის მფლობელები

ერაზმუს მუნდუსის „WEBB“ პროგრამის კონკურსის შედეგად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექვსმა სტუდენტმა და პროფესორ-მასწავლებელმა მოიპოვა გრანტი. უნივერსიტეტი კონკურსანტებს გამარჯვებას ულოცავს და წარმატებებს უსურვებს.

1. ფერაძე ნათია, ბაკალავრიატი, ფრანგული ფილოლოგიის სპეციალობა, მიმღები უნივერსიტეტი - (University of Poitiers) პუატიეს უნივერსიტეტი, საფრანგეთი;

2. მჭედლიძე მარიამ - ბაკალავრიატი, ფრანგული ფილოლოგიის სპეციალობა, მიმღები უნივერსიტეტი - (University of Poitiers) პუატიეს უნივერსიტეტი, საფრანგეთი;

3. ნათია მსხალაძე - მაგისტრატურა, ფრანგული ფილოლოგიის სპეციალობა, მიმღები უნივერსიტეტი - (University of Poitiers) პუატიეს უნივერსიტეტი, საფრანგეთი;

4. თამარ მაჭუტაძე - დოქტორანტურა, ფრანგული ფილოლოგიის სპეციალობა, მიმღები უნივერსიტეტი -

(University of Poitiers) პუატიეს უნივერსიტეტი, საფრანგეთი;

5. ანზორ ბერიძე - სადოქტოროს შემდგომი კვლევები, მათემატიკა, მიმღები უნივერსიტეტი - (Warsaw University) ვარშავის უნივერსიტეტი, პოლონეთი;

6. ნატალია სურგულაძე - აკადემიური პერსონალი, ფრანგული ფილოლოგია, მიმღები უნივერსიტეტი - (University of Poitiers) პუატიეს უნივერსიტეტი, საფრანგეთი.



1945 წლის 9 მაისი – ეს დღე ისტორიამ შემოგვინახა როგორც ფაშისმზე გამარჯვების დღე. სწორედ 1945 წლის 9 მაისს, ვერმახტის კაპიტულაციამ დაასრულა მეორე მსოფლიო ომი და საბჭოთა კავშირს გამარჯვება მოუტანა. გერმანიამ ომი წააგო.

მას შემდეგ 67 წელი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში არ ამოწურულა მსჯელობა მეორე მსოფლიო ომის შესახებ. მსჯელობა იმაზე, თუ რა მოხდა საბოლოოდ და ვინ არის მტყუან-მართალი. ადიდებენ სტალინს, იხსენებენ ჰიტლერსაც.

ომი დამთავრდა და იყო მსხვერპლი. იმდენად დიდი მსხვერპლი, რომ ამ ამბავმა მსოფლიო შეძრა. ომმა შეინარა 60 მილიონამდე ადამიანი, რომელთა დიდ ნაწილს მშვიდობიანი მოსახლეობა შეადგენდა. უამრავი ადამიანი საშინელი ტანჯვა-წამებით გარდაიცვალა. ეს ყველაფერი უდაოდ შემადრწუნებელი იყო. დანაშაულის დაუსჯევლად დატოვება, ალბათ დამეთანხმებით, რომ ცუდი პრეცედენტი.

ომის გამარჯვებული მხარის წარმომადგენლები- სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ იმის შესახებ, თუ როგორ დაესაჯათ დამნაშავეები. ჩერჩი-

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება



საქართველოს დამოუკიდებლობა რთულ ისტორიულ პერიოდში გამოცხადდა, რასაც თან ახლდა სამხედრო-დიპლომატიური ბრძოლები ქვეყნის ისტორიული საზღვრების შენარჩუნებისათვის. ამიერკავკასიის სეიმი, შემდეგ კი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ცდილობდა მეზობელ სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებას და საერთაშორისო სამართლის პრინციპების გათვალისწინებით ტერიტორიული პრობლემების მოგვარებას, მაგრამ იმდროინდელ საშინაო და საგარეო პირობებში ამის მიღწევა შეუძლებელი იყო. ქართული სახელმწიფოებრიობის ქომაგები არსებული რეალობის გათვალისწინებით ისწრაფოდნენ რამენაირად შეენარჩუნებინათ რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის პირველ მსოფლიო ომამდე არსებული სასაზღვრო რეჟიმი, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთის იმპერია, იმველივობდა რა ცალკეულ საერთაშორისო სამართლებრივ ასპექტებს. მათ შორის უმთავრესი ბრესტის სამშვიდობო ხელშეკრულება იყო, რომელიც გაფორმდა ჩვენი სამშობლოსთვის ძალზე მძიმე და არასასიამოვნო პირობებში. მოდით თვალი გავადევნოთ ჩვენი სამშობლოს ლამაზი და გმირული ისტორიის იმჟამინდელი მოვლენების განვითარების დინამიკას...

კებს, მათ უფრო მეტი დამოუკიდებლობა უნდა გამოეცხადებინათ. რუსეთის ახალი ხელისუფლება დაინტერესებული იყო საომარი მოქმედებების შეწყვეტით, თუმცა გერმანიას თავისი სამშვიდობო პირობები ჰქონდა. მალე ფრონტზე არსებულმა ვითარებამ ბოლშევიკები იძულებული გახადა თურქეთისათვის დაეთმოთ იმპერიის ვრცელი ტერიტორიები. თურქული მხარის აქტიურობით გერმანელებმა ულტიმატუმის ტექსტის საბოლოო ვარიანტი შეცვალეს და მასში ანატოლიის პროვინციებს მიუმატეს ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქებიც.

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში ბოლშევიკური რუსეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, თურქეთისა და ბულგარეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს 13 პუნქტიან შეთანხმებას, რომლის მე-4 პუნქტის მიხედვით რუსეთს სასწრაფოდ უნდა დაეცალა ზემოაღნიშნული ტერიტორიები სამხედრო ძალისაგან, არ უნდა ჩარეულიყო არდაგანის, ყარსისა და ბათუმის ოკრუგების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი და საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებაში და მიეცა აქაური მოსახლეობისათვის უფლება შეექმნათ ახალი წყობა მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით თურქეთთან შეთანხმებით. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ ამიერიდან რუსეთი აქ მიმდინარე პროცესებს მიღმა რჩებოდა, თურქეთს კი უფლება ეძლეოდა რეგიონში მისთვის მისაღები ხელისუფლების ფორმირებაში მიეღო მონაწილეობა.

იმავე დღეს გაფორმდა რუსეთ-თურქეთის დამატებითი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მათ შორის საზღვრები იმ სახით უნდა აღდგენილიყო, როგორც არსებობდა ჯერ კიდევ 1877-1878 წლების ომამდე. შეთანხმების მე-2 პუნქტით განისაზღვრა რატიფიკაციიდან სამი თვის განმავლობაში ორი შერეული კომისიის შექმნა, რომლებსაც უნდა უზრუნველყოთ სახელმწიფო საზღვრების დადგენა, მათ შორის ყარსი-არდაგანი-ბათუმის მონაკვეთზე.

რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის, გიორგი ჩიჩერინის შეფასებით, ხელშეკრულებაში არ ჩანდა ნათლად, რომ ყარსი, არდაგანი და ბათუმი რუსეთს ჩამოსცილდა... ამ შემთხვევაში, ანექსიას ჰქონდა უფრო შეფარული სახე. მისი განმარტებით, რუსეთი უშუალოდ პოსტოლურად მიბჯენილი იქნებოდა ხელი მოეწერა ამ ხელშეკრულებაზე...!

ამ დროისათვის ამიერკავკასიის ხელისუფლება თურქებთან მოსალაპარაკებლად ემზადებოდა. 1918 წლის 16 თებერვალს ამიერკავკასიის სეიმი დაამტკიცა თურქეთთან საზავო მოლაპარაკების დელეგაციის შემადგენლობა აკაკი ჩხენკელის მეთაურობით. შემუშავდა სამოქმედო გეგმაც, რომლის მიხედვითაც დელეგაციას 1914 წლამდე არსებული საზღვრების შენარჩუნებისათვის უნდა ეზრუნა. 23 თებერვალს დელეგაცია ტრაპიზონში იმყოფებოდა. 14 მარტს შედგა მოლაპარაკების პირველი რაუნდი. თურქებმა მოითხოვეს განმარტება ამიერკავკასიის რესპუბლიკის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ მოწყობასთან დაკავშირებით, იმის დასადგენად, სახელმწიფოს წარმოშობის ეს ფორმა პასუხობდა თუ არა საერთაშორისო ნორმებს.

მოლაპარაკების მეორე სტადიაზე ა. ჩხენკელმა განმარტა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკას ჰყავს დემოკრატიულად არჩეული სეიმი, როგორც ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. რაკი ბრესტის კონფერენცია ჩატარდა მათი უშუალო მონაწილეობის გარეშე, ამიტომაც ამიერკავკასიისთან დაკავშირებული ხელშეკრულების სამშვიდობო პირობები, საერთაშორისო სამართლის ნორმებით, თავისთავად კარგავდა მნიშვნელობას. ამიერკავკასია თავის პრობლემებს უშუალოდ მეზობელ სა-

9 მაისი – ვინც იბრძოლა სისხლის ფასად



ლი, აცნობიერებდა რა ომის განმავლობაში ჩადენილ საკუთარი ქვეყნის სისასტიკეს, ამტკიცებდა რომ სასამართლო არ უნდა გამართულიყო. რუზველტსა და სტალინს კი საპირისპირო მოსაზრება ჰქონდათ. თვლიდნენ, რომ სამართლიანი სასამართლო აუცილებელი იყო. ეს იქნებოდა სამხედრო, ომის დანაშაულის გამოსაძიებლად, რომელიც უმნიშვნელოვანეს ისტორიულ პრეცედენტს შექმნიდა. შედგა დანაშაულის მტკიცებულებათა დოსიე და 1945 წლის 8 აგვისტოს, ლონდონში ხელი მოეწერა ნიურბერგის წესდებას.

გერმანიის პოლიტიკური ძალაუფლება დაეცა “The allied control council” – ის მიერ. ACC-ში შედიოდა ამერიკა, საფრანგეთი, ინგლისი და საბჭოთა კავშირი. თითოეულმა მათგანმა სასამართლოზე თითო მოსამართლე წარადგინა. სასამართლომ დამნაშავეებს 4 პუნქტიანი ბრალდება წარუდგინა. ესენია:

1. დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ;
2. აგრესიული ომის წარმოება;
3. ომის დანაშაული;
4. დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.

ბრალდებულები გაასამართლეს განაჩენის გასაჩივრების გარეშე. გამარჯვებულებმა განაჩენი გამოუტანეს დამარცხებულებს ყველა ზემოთხსენებული პუნქტის მიხედვით.

ცნება „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ“ ნიურბერგის პროცესამდე არ არსებობდა სასამართლო პრაქტიკაში. იგი შეიმუშავეს მას შემდეგ რაც დანაშაული უკვე ჩადენილი იყო და დაარღვიეს კანონის უკუძალის პრინციპი (ეს პოსტ ფაქტო).

ხალხი ზეიმობს 9 მაისს. ის ხალხი, ვინც საკუთარი სისხლის ფასად დაიცვა ქვეყანა. დაიცვა ფაშისტებისაგან არა იძულებით, არამედ საკუთარი მორალის კარნახითა და სამშობლოს უდიდესი სიყვარულით, მშვიდობიანი მომავლის უზრუნველსაყოფად

ოთარ გოგოლიშვილი - პროფესორი

როგორც ცნობილია, 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ბოლო მოუღო რომანოვების 300 წლიან ბატონობას რუსეთში. ჩამოყალიბდა დროებითი მთავრობა. ამიერკავკასიაში კი შეიქმნა სიტუაცია მორგებული სახელმწიფო სტრუქტურა - საგანგებო კომიტეტი. ოქტომბრის გადატრიალებას მოჰყვა დროებითი მთავრობის დამხობა, რის შემდეგაც ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა დაკარგა ფუნქცია. ამიერკავკასიის მაშინდელი პოლიტიკური მოვლენები არ იყვნენ აღფრთოვანებულნი ბოლშევიკური ხელისუფლებით, ამიტომაც მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ მოქმედებას ამჯობინებდნენ. ადგილობრივი გავლენიანი პოლიტიკური პარტიების მონაწილეობით 1917 წლის ნოემბერში შექმნა ამიერკავკასიის ადგილობრივი მმართველობითი ორგანო ამიერკავკასიის კომისარიატის სახით.

თავის მხრივ, ანტანტის ქვეყნებმა დაიწყეს მზადება ამიერკავკასიაში ბოლშევიკებისაგან დამოუკიდებელი მთავრობის შესაქმნელად. ამავე პოლიტიკურ სცენაზე აქტიურობდა ასევე გერმანიის მოკავშირე ოსმალეთის იმპერიაც. მას ამ რეგიონის მიმართ თავისი ინტერესები ჰქონდა, რის რეალიზებასაც ბრესტ-ლიტოვსკში ცდილობდა. ასეთ პირობებში აშკარა იყო, რომ საქართველო იდგა თავისი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვის საფრთხის წინაშე.

1918 წლის 1 (14) იანვარს თურქეთის არმიის მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელი ენვერ-ფაშა გენერალ-ლეიტენანტ ი. ოდიშელიძისადმი მიწერილ წერილში დაინტერესდა ამიერკავკასიის დე ფაქტო დამოუკიდებელ მთავრობასთან მშვიდობიანი ურთიერთობების აღდგენით და გამოთქვა მზადყოფნა გამოეგზავნა დელეგაცია თბილისში (მართალია, ტელეგრაფში ოთხჯერ საგანგებოდ ხაზგასმულია კავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის სტატუსი, ამიერკავკასიის კომისარიატის სახით, თუმცა ოსმალეთის მხარე მას არ თვლიდა კანონიერად და არ ცნობდა „დე-იურედ“, რაც კარგად გამოჩნდა ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენციაზე). პასუხად ამიერკავკასიის კომისარიატმა აცნობა თურქულ მხარეს, რომ დაინტერესებული იყვნენ ომის უსწრაფესი დამთავრებით და მშვიდობის დამყარებით... მათი განმარტებით, როგორც რუსეთის რესპუბლიკის ნაწილს, სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყება შეეძლოთ მხოლოდ ახლად შეკრებილი დამფუძნებელი კრების დასტურით.

სამართლიანად შენიშნავს პროფ. მ. სვანიძე, რომ თუკი ამიერკავკასიის მთავრობა არ ცნობდა ბოლშევი-

(გაგრძელება მე-10 გვერდზე)



ია სოზარეული ბათუმის მეხუთე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია. იგი არჩევანს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტზე აკეთებს. სამომავლოდ მას ფილოლოგობა სურს:

„განათლება - ეს არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება თაობიდან თაობას გადასცემს კულტურულ მემკვიდრეობას, დაგროვილ ცოდნას და უნარ-ჩვევებს. რაც უფრო კულტურული და განათლებულია ერი, მით უფრო გზას იკვლევს მსოფლიო სოციალურ

განათლება უპიტვლოს ყოვლისა!



და ეკონომიკურ სივრცეში. პირადად ჩემთვის, ვიყო განათლებული, ბევრს ნიშნავს, მაგრამ წინასწარვე მაქვს გაცნობიერებული, რომ მანამდე გრძელი, საინტერესო და საკმაოდ დამლელი გზა მაქვს გასავლელი, როგორც დავით გურამიშვილი ამბობს: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“. სწავლის საწყისი ეტაპი ბევრისთვის მართლაც რთულია, მაგრამ საბოლოოდ ის ცხოვრების გზას გვიკაფავს, მომავალს იმედიანად შევცქერით და დარწმუნებული ვართ, რომ ყველაფერი გამოგვივა. მოსწავლეები საშუალო განათლების მიღების შემდეგ ისწრაფვიან უმაღლესი განათლების მისაღებად. ეს პერიოდი შეიძლება მივიჩნიოთ გარდამტეხ ნერტილად, რადგან ამ დროს ვაცნობიერებთ რომელ უმაღლეს სასწავლებელში უნდა გავაგრძელოთ სწავლა, რომელი მათგანი გაიღებს მაქსიმუმს სტუდენტისთვის, რომელ სპეციალობაში ვხედავთ საკუთარი თავის რეალიზაციას და ა.შ. არსებობს შემთხვევებიც, როცა მოზარდები ფაკულტეტსა და უნივერსიტეტს სხვისი სურვილის შესაბამისად წერენ, შემდეგ

ირიცხებიან და არასასურველ გარემოში სწავლობენ. მე ეს მართებულად არ მიმაჩნია. ჩემი აზრით, არჩევანს აბიტურიენტი უნდა აკეთებდეს, გადანიშნულებას მე უნდა ვიღებდე და არა სხვა, რადგან ჩემზე უკეთ არავინ იცის, სად მინდა ვისწავლო და რომელ პროფესიას დავეუფლო. ჩვენივე მომავალი სასწორზე არ უნდა დავდოთ.

პირადად მე, უპირატესობას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვანიჭებ. მინდა განათ-

ლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტი გახდებოდა. რაც შეეხება იმას, თუ რატომ ვანიჭებ ამ უნივერსიტეტს უპირატესობას, გეტყვით, რომ აქაურობაზე ბევრი მსმენია. ვიცი, რომ ქართული ფილოლოგიის სპეციალობა კვალიფიცირებული კადრებისგან არის დაკომპლექტებული. გამოგიტყდებით და, არც ჩემივე ქალაქიდან სხვაგან წასვლის სურვილი მაქვს. მაშინ, როცა აქ გველო-

დება 78-წლიანი ისტორიის მქონე უმაღლესი სასწავლებელი. ვფიქრობ, ეს ის ადგილია, სადაც მივიღებ ცოდნის მაქსიმუმს, სადაც მექნება საშუალება გამოვამყლავნო ჩემი შესაძლებლობები და შევიქმნა კარგი მომავალი. რა თქმა უნდა, სპეციალობაც ჩემივე სურვილით ავირჩიე. მომწონს ჩემი სამომავლო პროფესია და მინდა დიდი სიყვარულით ვაკეთო ეს საქმე. თუ ადამიანს პროფესიისადმი სიყვარული არ გააჩნია, მაშინ შრომა მისთვის მტანჯველი იქნება.

აქედან გამომდინარე, იმედებს ვამყარებ იმ ოთხ წელიწადზე, რომელიც ღმერთის ნყალობით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა გავატარო. ჩემთვის ეს პერიოდი იქნება დროის ის მონაკვეთი, როცა უნდა ჩამოვყალიბებ ზრდასრულ პიროვნებად, დრო მაქსიმალურად გამოვიყენო, რომ სასურველ შედეგს მივაღწიო. როგორც დიდი ილია ამბობს: „ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბენვის ხიდი ფეხთაქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა.“

უნივერსიტეტი გამოცდებისთვის ემზადება

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ემზადება. აქ ღია კარის დღეები ჩატარდა და აბიტურიენტთა მოზიდვის მიზნით უნივერსიტეტმა როგორც გასვლითი, ასევე ადგილობრივი ღონისძიებები განახორციელა.

2013 წლიდან ბათუმის საგამოცდო ცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ამ თანამდებობაზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მანუჩარ ლორია დაინიშნა. მისივე თქმით, უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტთა მოზიდვის მიზნით ჩატარებული ღონისძიებები ახალი ნაკადის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია. „მთავარი ერთიანი ეროვნული გამოცდებია, რომლის დაწყებამდეც სულ მცირე დრო გვრჩება“.

მანუჩარ ლორია: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი სოციო-კულტურული ანთროპოლოგიის მიმართულებით, ბათუმის საზღვაო აკადემიის რექტორის მოადგილე, 2005 წლიდან 2007 წლამდე გამოცდების ეროვნული ცენტრის კურატორი, 2007 წლიდან 2012 წლამდე ბათუმის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციის თანაშემწე, 2013 წლიდან ბათუმის საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი.

— ბატონო მანუჩარ, როგორ ემზადება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის?

— საგამოცდო ცენტრის მთავარი მიზანია, ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩატარდეს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული წესების დაცვით. რაც შეეხება ბათუმის საგამოცდო ცენტრს, წელს გახლავთ უპრეცედენტო შემთხვევა — თუ შარშან იყო 76 სექტორი, წელს, სავარაუდოდ, 109 სექტორი იქნება, რადგან აბიტურიენტთა ნაკადი საკმაოდ დიდია.

— ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის დამკვირვებლებს რა კრიტერიუმებით არჩევენ?

— ჯერ გადამოწმდებიან ის ადამიანები, რომლებიც გასულ წლებშიც იყვნენ დასაქმებულნი. შემდეგ ვაკანტური ადგილები გამოცხადდება, საგამოცდო ცენტრიდან ჩამოვლენ სპეციალისტები და გადაამზადდებიან მათ.



ასევე იმ უნარ ჩვევებს შეასწავლიან, რომლებიც გამოადგებათ უშუალოდ საგამოცდო პროცესის მსვლელობისას.

— არის თუ არა სტუდენტთა დასაქმება შესაძლებელი?

— შეძლებისამებრ, გვინდა ვაკანტურ ადგილებზე დავასაქმოთ ის სტუდენტები, რომლებიც შეესაბამებიან მოთხოვნებს. ჩვენ ნამდვილად დავასაქმებთ რამდენიმე სტუდენტს!

— გასაგებია, რომ აბიტურიენტთა რიცხვი ძალიან მაღალია. შეგიძლიათ, გვითხრათ ერთგვარი სტატისტიკა ჩვენი უნივერსიტეტის მოთხოვნის თვალსაზრისით?

— სტატისტიკა ნამდვილად არ გვაქვს და წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტი დღითიდღე აღმავალი გზით მიდის და მიღწევები მართლაც ბევრი გვაქვს, ვფიქრობ, აბიტურიენტების ნაკლებობა არ იქნება ჩვენი უნივერსიტეტის მისამართით. ბათუმის საგამოცდო ცენტრი გამოცდებს ყველა იმ აბიტურიენტისთვის ატარებს, რომელიც აბარებს საქართველოს ნებისმიერ აკრედიტებულ უნივერსიტეტში.

აქვე აღვნიშნავ, რომ საგამოცდო ცენტრი მარტო აბიტურიენტებს არ ემსახურება. ასევე მოიაზრებიან ის პირებიც, რომლებსაც სურთ გრანტის ამალგება, სამაგისტრო პროგრამებზე ჩაბარების მსურველები და ასევე ის პედაგოგები, რომელთაც სურთ სასერთიფიკატო გამოცდებში მიიღონ მონაწილეობა.


სალომი მუხაველიძე,
ისტორიის სპეციალობის
შესამე კურსის სტუდენტი



იესო ქრისტე ქართულ ფოლკლორში

მიმდინარე წელს ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ თინა შიოშვილს დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა. ვინც იცნობს ამ ბრწყინვალე ლექტორს, მკვლევარს, შემოქმედსა და რაც მთავარია, სათნო პროფესორს, წარმოუდგენელია მის მიმართ პატივისცემითა და მოწონებით არ იყოს განწყობილი. სხვებთან ერთად, მისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს სტუდენტები ამჟღავნებენ. დიდი ინტერესით ისმენენ მის ლექციებსა და ეცნობიან პატივცემული პროფესორის სამეცნიერო ნაშრომებს. ამჟღავნად არჩევანი მათ თინა შიოშვილის ბოლო მონოგრაფიაზე – „იესო ქრისტე ქართულ ფოლკლორში“ შეაჩერეს და ქალბატონ თინა შიოშვილის საიუბილეო თარიღს მიუძღვნეს ამ მეტად მნიშვნელოვანი წიგნის განხილვა.

„იესო ქრისტე ქართულ ფოლკლორში“ პროფესორ თინა შიოშვილის ორ ათეულამდე მონოგრაფიათა შორის ერთ-ერთია, რომელიც ეძღვნება ქართულ ფოლკლორულ შემოქმედებაში მომუშავე საუკუნეთა განმავლობაში თავჩენილი მაცხოვრის ვერხვიანი ხატის შესწავლას. მასში გაანალიზებულია იესო ქრისტის შობის, სოფლიური მოღვაწეობის, ჯვარცმისა და აღდგომის ციკლის სასულიერო-რელიგიური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ქართულ ხალხურ გამოცანებსა და შლოცებში დაუნჯებელი მონივნება და უსაზღვრო სიყვარული ადამიანთა ცოდვების მტვირთული მაცხოვრისადმი; საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ფოლკლორული მასალის გათვალისწინებით, შესწავლილია ქართველ მთქმელთა სულიერ ქურაში გამოტარებული შეხედულებანი მაცხოვრის სამსჯავროზე, იესო ქრისტეზე, როგორც დემიურგსა და პიროვნულ მსაჯულზე.



სიმბოლური იყო, რომ სტუდენტებმა, წიგნის სათაურიდან გამომდინარე, ღონისძიების ჩატარება ბრწყინვალე რელიგიური დღესასწაულის – აღდგომის ახლო დღეებში დაეკმეცეს.

სალამო შედგა 14 მაისს ორმოცდამეხუთმეტე აუდიტორიაში. ღონისძიების პირველი ნაწილი დაეთმო ქალბატონი თინა შიოშვილისადმი მიძღვნილ ნაშრომებსა და მილოცვებს. იუბილარის დაბადების დღე მიულოცეს: რექტორის მოადგილე სანსაგო აკადემიურ დარგში, ბატონმა ირაკლი ბარამიძემ, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა მარინა ქორიძემ, პროფესორებმა: მამია ფაღავამ, რამაზ ხალვაშმა, შორენა მახაჭაძემ, მარინა გიორგაძემ, ასოციირებულმა პროფესორებმა: გურამ ბახტაძემ, ლილე თანდილაძემ, ნათია ფარტულაძემ. მეორე ნაწილი კი ქართული ლიტერატურის სამეცნიერო წრის სტუდენტთა კონფერენციის დაეთმო, მომხსენებლებმა წარმოადგინეს იუბილარის მონოგრაფიის, – „იესო ქრისტე ქართულ ფოლკლორში“, სიღრმისეული ანალიზი. ღონისძიების ბოლოს ქალბატონმა თინა შიოშვილმა მოკლე შეჯამება თავისი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა და მადლობა გადაუხადა სტუდენტებსა და დამსწრე საზოგადოებას.

კოლეგებისა და ჩვენი სტუდენტების სახელით კიდევ ერთხელ ვულოცავთ ქალბატონ თინას იუბილეს. ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ნაყოფიერ მოღვაწეობას სამეცნიერო და პედაგოგიურ სარბილზე.

გურამ ბახტაძე

ქალბატონ თინას!

წელს ქალბატონი თინა იუბილარია, ხევაიელი შემოქმედის უდგას. ახლა იგი იმ ასაკშია, რომ შეიძლება მის ნაღვან-ნაჯაფზე თვალის გადავლება და შეფასება. შესავსავლელი კი მართლაც ბევრი აქვს: ორ ათეულამდე წიგნი (მონოგრაფიები, თარგმანები, ფოლორული კრებულები...), ათეულობით სამეცნიერო გამოკვლევა და მოხსენება საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე, მონაწილეობა სამეცნიერო ექსპედიციებში... თითოეული ცალკე მსჯელობის საგანია სამომავლოდ, რასაც, ბუნებრივია, ამ მცირე მილოცვაში ვერც მოვახერხებთ და არც ვაპირებთ. ქვემოთ მკითხველს შევთავაზებთ იუბილარის ჩვენი უნივერსიტეტის ზოგად ხაზებს.

ქალბატონი თინა ერთდროულად რამდენიმე ასპარეზზე იღვწის, მათგან, ვფიქრობთ, ორი ძირითადია – სამეცნიერო და პედაგოგიური, ორივე ასპარეზზე მნიშვნელოვანი წარმატებით, თუმცა ეს ორი ქმნის ერთ მთლიანს, პროფესორის პორტრეტს. იგი ჩვენი უნივერსიტეტის სრული პროფესორია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რამდენიმე ათეული წელია ქართულ ფოლკლორსა და ლიტერატურათმცოდნეობის სხვა დისციპლინებს ასწავლის მოზარდ ფილოლოგებს და, რაც მთავარია, აყვარებს მათ ხალხურ სიტყვიერებას, საუნჯეს, ქართველი კაცის მესხიერებას საუკუნეები რომ გამოუტარებია და დღემდე მოუტანია... აჩვენებს მომავალ ფილოლოგებს ფოლკლორული მასალების შეგროვებასა და დაფასებას, უღვივებს ხალხური სიტყვიერების სიყვარულს...

ქალბატონი თინა მკვლევარია, წარმატებული მკვლევარია. ერთი მხერი იგი იკვლევს ქართული ხალხური სიტყვიერების უანერებას თუ მოტივებს, მეორეს მხრივ, ველზე გასული თავად აგროვეს ფოლკლორულ ნიმუშებს და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს ახალი მასალები: ახალაზროვნების ნაღვან პროფესორ ქსენია სიხარულიძის ხელმძღვანელობით მიწყობილ დასუს-ფოლკლორისტიკის კათედრის ექსპედიციებში დაბეჭდილობა მონაწილეობას (აქ დაოსტატდა იგი როგორც ფოლკლორული ნიმუშების შემგროვებელი და მკვლევარი), შემდეგ – ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელო-

ბის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორულ-დოქტორთა კონფერენციებში, ბოლო წლებში კი – რსუ-ს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის (შემდეგ ქართველოლოგიის ინსტიტუტის) კომპლექსური ექსპედიციის წევრია და მონაწილე ყველა სამეცნიერო ექსპედიციისა, რაც მისი სახელით ჩატარდა აჭარისა თუ ისტორიული სამხრეთ საქართველოს რეგიონებში და მუშავებდა მთაში-მავლებით დასახლებულ თურქეთის პროვინციებში: რუღუნებით აგროვეს ჯერ კიდევ დაინწყება გადარჩენილ ფოლკლორულ ნიმუშებს (არაფერი ემეტება დასაკარგავად), მეორეს მხრივ, მინავლებულ ქართულ სიტყვას აღვივებს თურქეთულ ქართველებში; ქალბატონი თინას დამსახურებაცაა, რომ მომავალში საქართველოს აღარ დაეკარგება ასომთავრის გზაზე დამდგარი ისტორიული ქართული კუთხების ფოლორ, მეტყველება და ეთნოგრაფია.

ჩვენი იუბილარის სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ მომენტსაც მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას. იგი ერთ-ერთი ძირითადი მონაწილეა „ქართველოლოგიის ინსტიტუტში“ განხორციელებული საგანგებო პროექტისა „მეცნიერი“ და მიმდინარე პროექტებისა – „კლარჯეთი“ და „მუშაჯირები“. მისი წყალობით მრავალფეროვან ქართულ ფოლორისტიკას შეემატება სამხრეთ საქართველოს ფოლორისტიკა. ეს, ვფიქრობთ, დიდი საქმეა.

ქალბატონი თინას პორტრეტს კიდევ ერთი შტრიხი სჭირდება, მხედველობაში გვაქვს მისი პიროვნული თვისებები: იგი არის თბილი, მოყვარული ბებია, დედა და მეუღლე, პატრონი თბილი და სტუმართმოყვარე ქართული ოჯახისა, კარგი მეგობარი და კოლეგა უნივერსიტეტში, პატივცემული ქალბატონი ქალაქში... ეს დიდი სიმდიდრე ადამიანებთან მისი გულწრფელი დამოკიდებულების ნაყოფია, თავისი ცხოვრების წესით მოპოვებული.

ყოველ სამუშაო დღეს მოდის ქალბატონი თინა უნივერსიტეტში, თავისი დარდითა და საფიქრალით, ყოველ დღე მოაქვს ჩვენთვის ჩვენი წილი ღირსი და სიტბო, ყოველ დღე შრომობს ჩვენს გვერდით. კაბინეტში მოსულთ თვალს გვიცხენის, ვიკითხავთ... ეს ჩვენი ყოველდღიური ბაბა. გიყვარს და გვიიმედება ქალბატონი თინა, — პროფესორი, მკვლევარი, კოლეგა და მეგობარი...

ამაია ფაღავა

თინა შიოშვილი - 65

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თინა შიოშვილი — საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ნაყოფიერი მეცნიერი, შესანიშნავი პედაგოგი და პოეტი, 65 წლისაა.

ქალბატონი თინა დაიბადა 1948 წლის 15 მაისს კახეთის ულამაზეს სოფელ ველისციხეში. 1970 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. იმავე წელს სამუშაოდ დაიტოვეს ფოლკლორისტიკის კათედრაზე, როგორც წარჩინებული სტუდენტი და პერსპექტიული მკვლევარი. 1980 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თვლი სახოკიას ფოლკლორისტიკული მოღვაწეობა“ (მეცნიერ-ხელმძღვანელი — პროფ. ქსენია სიხარულიძე), რომელიც გადაამუშავა და წიგნად გამოცა 1987 წელს. ქალბატონი თინა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში 1981 წლიდან მუშაობს, ხოლო 1985 წლიდან - ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 2003 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართული ფოლკლორის ზნეობრივი პრობლემატიკა“ და მრავალწლიანი კვლევის შედეგები ორ ტომად გამოაქვეყნა წიგნში „ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო“ (2002, 2004). იუბილარი მკვლევარი 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიის („ილია ჭავჭავაძე და ქართული ხალხური სიმღერა“ (2007), „სტუმარმასპინძლობა ქართულ ფოლკლორში“ (2009), „იესო ქრისტე ქართულ ფოლკლორში“ (2012) და სხვა) ავტორია.

ქალბატონი თინა საველე მუშაობას სტუდენტობის დროიდან ეწევა. მან შეადგინა და ცალკე წიგნებად გამოცა ქართული ხალხური მელოცვების (1994), გამოცანებისა (1996) და წყველების (2006) კრებულები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც პროფესიონალ ფოლორისტთა, ისე მკითხველთა ფართო წრეში. მისი ხელმძღვანელობით და აქტიური მონაწილეობით განხორციელდა არაერთი კვლევითი პროექტი, როგორცაა: „პატრიარქის იდეები ქართულ ფოლკლორში“; „ჰუმანიზმის იდეები ქართულ ფოლკლორში“; „ქართული საბავშვო ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო“; „შეშვეთი - ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“; „აჭარის მუსიკალური თემი თანამედროვეობის კონტექსტში“; „მუშაჯირები (თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ მუშაჯირთა შთამომავლობის მეტყველების, ფოლკლორის, მეტყველებისა და ყოფის შემსწავლელი სამეცნიერო პროგრამა)“; „კლარჯეთი“ და სხვა.

თ. შიოშვილს დიდი წვლილი მიუძღვის მომავალი ფოლორისტიკის აღზრდაში. მისი დოქტორანტიები არიან: გ. მახარაშვილი, ლ. კუკულაძე და ა. კაშია.

ქართული ფოლკლორი ქალბატონი თინასთვის ეროვნული გენის, სულის, იდენტობის გამომატებელია და დღეს, გლობალიზაციის შემოჭრის ეპოქაში, იგი ერთ-ერთი მძლავრი იარაღი ეროვნული

თვითმოყვარობის შესანარჩუნებლად – ასე ასწავლის იგი სტუდენტებს, ასე უნერგავს მათ ქართული პატრიოტული ზნეობრივი ღირებულებებისადმი პატივისცემას.

აქტიური სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად, თინა შიოშვილი ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწევა. მან თარგმნა და გამოცა აგატა კრისტის დეტექტიური მოთხრობები (1984) და რომანი „პრემიერ-მინისტრის მოტაცება“ (1997); მიხეილ რომის „ოთხი შეხვედრა ნიკიტა ხრუშჩოვთან“ (1991) - თარგმანი შესრულებულია შ. ზოიძესთან ერთად; იაკობ ეკერი „ბიბლიური ისტორია ყრმათათვის“ (1992) - თარგმანი შესრულებულია ნ. აბაშიძესთან ერთად; ლიონ ფოხტანგერის „მოსკოვი - 1937“ (1995) - (თარგმანი შესრულებულია ა. ჩხარტიშვილთან ერთად); ჰასან ჰელიმიშისა (2005) და ვლადიმერ ვი-სოცის ლექსები (2006).



მალალ პროფესიონალიზმთან და უტყუარ ალღოსთან ერთად ქალბატონ თინას ახასიათებს პრინციპულობა, პიროვნული ხიბლი და გულისხმიერება, რაც ყოველთვის სასიამოვნოს ხდის მასთან ურთიერთობას და მუშაობას.

ქალბატონი თინა დიდებული ოჯახის პატრონია. მისი მეუღლე ბათუმის საკრებულოს წევრი ალექსი ჩხარტიშვილია - ფართო ერუდიციის მქონე კოლორიტული პიროვნება. ქალიშვილი ეკა ფინაკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი და ქართული ინტელექტუალთა კლუბის - „რა? სად? როდის?“ აქტიური წევრია. ქალბატონი თინას უდროოდ გარდაცვლილი ვაჟიშვილი - სოსო ჩვენს ქალაქში კომპიუტერული ტექნოლოგიების ერთ-ერთ პირველი დამწერეა იყო. წარჩინებული მისწავლეები არიან ქალბატონი თინას შვილიშვილები - ქეთი და ნატა ჩხარტიშვილები.

ვულოცავთ ქალბატონ თინას იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მზერაძეობას და წარმატებებს სამეცნიერო-პედაგოგიურ და შემოქმედებით მოღვაწეობაში.

რამაზ ხალვაში
შორენა მახაჭაძე

მართალი ცხოვრების მონაგაჩი

თურმე 65 წელი სულაც არ ყოფილა ბევრი, - ძალუხუხუხად ასე მეფიქრება, როცა ვუსურვებ ქალბატონ თინა შიოშვილს - მუდამ მოფუსფუსეს, საქმიანს, ნაცნობების თუ უცნობების სიკეთისათვის მოღვაწეს, სხვათათვის მზრუნველს.

არც ცოტაა: ასაწონიც მრავალადა და განსასაჯელიც. ამ ნიხს განმავლობაში ცხოვრებამ სიხარულიც ბევრი ანახა ქალბატონ თინას და, სამწუხაროდ, უდიდესი ტკივილიც, ასაწონ-განსასაჯელს რაც შეეხება, უნივერსიტეტში ბებრებუ ღამის და მიხარია, თამამად რომ შემიძლია თქმა - თინა შიოშვილის შესახებ ავის და აუგის მთქმელს, სანთლით რომ ექცებ, ვერ იპოვი. ამ 65 წლის მონაგარია ეს - მართალი ცხოვრების მონაგარი.

მრავალრიცხოვან სამეცნიერო ნაშრომთაგან რამდენიმეს ვასახელებ მხოლოდ: „იესო ქრისტე ქართულ ფოლკლორში“, „წმინდა გიორგი ქართულ ხალხურ სასულიერო პოეზიაში“, „ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო“, „ქრისტიანობისა და სასულიერო ფოლკლორის როლი ქართული ერის ზნეობრივ სრულქმნაში“, „ღვთისმშობელი ქართულ ფოლკლორში“, „ადვის სახე ქართულ ხალხურ ეპოსში“, „ლეგენდა დედის გულზე...“

ეს თინა შიოშვილის სამეცნიერო საქმიანობის ერთი მხარეა. ჩამოთვლით კი ნაშრომები იმიტომ ჩამოვთვალე, რომ დარწმუნებული ვარ, ადამიანის ხა-

სათი, ბუნება, სულიერებაც კი მის ინტერესებზე დაკვირვებითაც შეიძლება შეიცნო. ეს სათაურები თინა შიოშვილის ვინაობაზე მითითებებს უთუოდ.

როგორ არ ვასხარო ექსპედიციები შავშეთსა თუ კლარჯეთში, ტაოსა თუ სპერში, უნიასა თუ გურგენთეფეში (მუშაჯირებთან). ხშირად მინახავს, როგორი სიყვარულით ეფერება ოქისა თუ ბერძენი, სინკოთისა თუ ფორთას ნაშალ კედლებს, როგორი ტკივილიანი შეუპოვრობით ადის ხოლმე უსტამისის თუ ხანთუშეთის, სათელისისა თუ ჩაქველთა ციხის ძნელად სავალ ბილიკებზე - მამინაც კი, როცა თაკარა სიციხე და სიარული ძალიან, ძალიან უჭირს.

მე ვიცნობ თინა შიოშვილს როგორც მასწავლებელს, როგორც კოლეგას და მეგობარს, როგორც მეცნიერს, როგორც მწერალსა და მთარგმნელს, - ჩემი უპირველესი საზომი მაინც უნივერსიტეტია და, ვფიქრობ, რომ ქალბატონი თინა იმათ შორისაა, ვინც ქმნის ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის სასიკეთო სახეს...

65 წელი არც ბევრია და არც ცოტა-მეტქი, ვთქვამ და მინდა გულწრფელად მივულოცო იუბილე ქალბატონ თინას, ვუსურვო ბევრი სიხარული და წარმატება შინ თუ გარეთ, ცხოვრებასა თუ მოღვაწეობაში.

მალხაზ ჩოხრაძე

„პირაჟინ მასში ვერ პოვებს ავსა, მის საზოგადოებლოს და საქანჯანას“



ჭად დასავსებული თვისება. მისმა პროფესიონალიზმმა და პიროვნებამ იმდენად დიდი გავლენა იქონია ჩვენზე, რომ სტუდენტების უმრავლესობა ღამის

პროფესორ თინას სამოღვაწეო გზას დაადგა, რადგან იცოდა, რომ კიდევ რამდენიმე წლის გატარება მოუწევდა მის გვერდით და თვითონაც გახდებოდა კარგი პროფესორი, რა თქმა უნდა, ქალბატონი თინას წყალობით. მასთან ერთად გატარებული წლები კი ნამდვილად ტკბილი და სარგებლის მომტანი იქნებოდა მისთვის.

ქალბატონ თინას მითოდ, რათა არცერთი სტუდენტი არ ყოფილიყო უსამქოდ ვინც გამოირჩეულად სწავლობდა, მათთვის კიდევ უფრო მეტი სტი-


მული მიეცა. ჩვენ არ შეგვიძლია დავიფიქროთ მისი დიდი საჩუქარი, რომელიც ჩვენთვის საამყო და სასიხარულო იყო. როცა მეორე კურსს ვამთავრებდით და გამოცდები მოგვადგა კარს, ქალბატონმა თინამ განაცხადა ასეთი რამ: „ვინც ფრიადს მიიღებს, მას საჩუქრად გადავსცემ ჩემს წიგნს“. საიმეოვნებით გაიხსენებთ ამასთან დაკავშირებულ კურიოზს. ფრიად ბებრად დაიმსახურა, ქალბატონი თინა კი ევლარ აუცილდა წიგნების მოტანას და ერთხელ გვითხრა: „ერთი-ორი სტუდენტი გამომყვით სახლში, რათა თქვენთვის გადავსაცემი წიგნების ნაშრომებში დამეხმაროთ.“

ქალბატონ თინას წიგნი „იესო ქრისტე ქართულ ფოლკლორში“ დავგრა სახსოვრად, მაგრამ მისდამი სიყვარული ჩვენში იმდენად დიდი იყო, რომ ვინდობდა მცირედი მაინც გამოგვხატა პატივისცემა და სიტბო, ამიტომაც გადავწყვიტეთ მისი წიგნის პრეზენტაციის გაკეთება, რომელიც 2013 წლის 14 მაისს

გაიმართა და დაემთხვა მის იუბილეს. 14 მომსწენებელი წარსდგა ჩვენი კურსიდან. დაახლოებით საათნახევარს გაგრძელდა პროცესი. ვფიქრობთ, იქ მყოფი საზოგადოება კმაყოფილი დარჩა და რაც მთავარია, ქალბატონი თინაც, რაც ჩანდა მისი სახის გამომეტყველებიდან და იქვე წარმოთქმულ ანაღვლეველ ფრაზებში, რომელიც ჩაქსოვილი იყო დიდი სიტბო, სიყვარული და ემოცია.

ამრიგად, ქალბატონი თინა ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნებაა. მან შეძლო ყოველი სტუდენტის სიყვარულის მოპოვება, მიუხედავად მათი აკადემიური წარმატებისა. ქართული ფილოლოგიის მე-3 კურსის სტუდენტები ქალბატონ თინას ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და შემოქმედებით წარმატებებს. უფალი იყოს თქვენი მფარველი!

თათქინა ანისა და ლიბია ბარბაქაძის საპროფესორის მასაში პირის სტუდენტები



ყოველწლიური ცხოვრების რა მოლოზს იტოვებს

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. 1922 წელს დაამთავრა კოტე ბაქრაძემ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი და იმავდროულად, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მის ცხოვრებაში იყო ის, რომ შალვა ნუცუბიძის რეკომენდაციით უნივერსიტეტში დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად. ამავე წელს ჟურნალში „ჩვენი მეცნიერება“ გამოქვეყნდა კოტე ბაქრაძის პირველი მეცნიერული შრომა „ალეთოლოგიური რეალიზმი“, რომელშიც გადმოცემული იყო შალვა ნუცუბიძის ფილოსოფიური სისტემის მინიარსი.

1922 წელს თბილისის უნივერსიტეტმა კოტე ბაქრაძე მიაჯილნა გერმანიაში, ფილოსოფიური ცოდნის გაღრმავების მიზნით. იგი იქ მონაწილეობდა ჰ. რიკერტისა და ებინჰაუზის სემინარებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ყოფილა მისთვის ე. ჰუსერლის, რ. კორნერის, ი. კონის, გ. მელისის, თ. ბეკერის ლექციები და სემინარები.

1925 წელს კოტე ბაქრაძე ბრუნდება გასაბჭოებულ საქართველოში. ერთი წლის შემდეგ ის თბილისის უნივერსიტეტის ასისტენტი ხდება, შემდეგ ახარებს სადოქტორო გამოცდებს. 1928 წელს იგი უნივერსიტეტის დოცენტად აირჩიეს, 1930 წელს — პროფესორად.

1929 წელს გამოქვეყნდა კოტე ბაქრაძის მონოგრაფია „დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში“, 1936 წელს გამოვიდა მისი წიგნი „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“. ამ ნაშრომებში გამოვლინდა პირველად კოტე ბაქრაძის ღრმა ფილოსოფიური აზროვნება და რთული საკითხების გაშუქების ნათელი სტილი.

როგორც ცნობილია, 1935 წლის სექტემბერში გაიხსნა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი. ინსტიტუტში ახლადდაარსებულ სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა კათედრას სათავეში ჩაუდგა პროფესორი კოტე ბაქრაძე. აქ ის 1938 წლამდე მუშაობდა, თუმცა ბათუმთან კავშირი მას არასოდეს გაუწყვეტია, სისტემატიურად ჩამოდიოდა ჩვენთან, საჭირო კონსულ-

ტაციებს უწევდა ფილოსოფიის კათედრის ლექტორ-მასწავლებლებს და ეხმარებოდა მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში. ჩემი მაგალითიც მინდა გავიხსენო: გასული საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში, მე რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის სპეციალობაზე ვსწავლობდი, ვგრძნობდი ბატონი კოტეს მხრივ განუწყვეტელ ყურადღებას, ხოლო 60-იანი წლების ბოლოს, ბათუმში მორიგი სტუმრობის დროს სწორედ მან სთხოვა ფილოსოფიის კათედრის გამგეს ბატონ მისიელ სტამბოლიშვილს ჩემი კათედრაზე სამუშაოდ მონიშვნა, რაც დადებითად გადაწყდა 1969 წლის სექტემბერში. ვფიქრობ, ამის

ლესი სასწავლებლებისათვის გამოიქცა 1954 და 1955 წლებში.

ამასთანავე მის მრავალმხრივ მოღვაწეობაში ბატონი კოტე მაინც, ძირითადად, წარმოგვიდგება როგორც ფილოსოფიის ისტორიის მკვლევარი. გასული საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში გერმანული კლასიკური ფილოსოფიისადმი მიძღვნილი ზემოაღნიშნული ფუნდამენტური ნაშრომების გამოქვეყნებისა და გარკვეული დროის შუალედით ლოგიკის სახელმძღვანელოების შექმნაზე ყურადღების გადატანის შემდეგ ბატონი კოტეს ინტენსიური კვლევის საგანი ხდება XX საუკუნის დასავლეთის ბურჟუაზიული ფილოსოფიის საკითხები, რასაც

ლი იქნებოდა გერმანული კლასიკური ფილოსოფია და მოდერნო პერიოდი XX საუკუნემდე. მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარ მოასწრო, 1970 წელს აკადემიკოსი კოტე ბაქრაძე გარდაიცვალა. რას იზამ, ულმობელია სიკვდილი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის დიდი კორიფეების შალვა ნუცუბიძის, კოტე ბაქრაძისა და სავლე წერეთლის ამ ქვეყნიდან ნასვლის შემდეგ ფილოსოფიური ცხოვრება მაღალნაყოფიერად გააგრძელეს მათმა სახელოვანმა მოწაფეებმა, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებითი შრომით ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ქართული ფილოსოფიური აზროვნება.

ქართული ფილოსოფიური აზროვნების დიდი წარმომადგენელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე კოტე ბაქრაძე დაიბადა თბილისში 1898 წელს. დედა ადრე გარდაეცვალა. მრავალშვილიანი ოჯახის მეურვეობა მამამ, იმ დროისათვის ცნობილი ინტელიგენტმა და საზოგადო მოღვაწემ სპირიდონ ბაქრაძემ იკისრა.

ცხრა წლის კოტე თბილისის ქართული გიმნაზიის მოსწავლე ხდება. იგი სწავლისადმი უჩვეულო ინტერესს ავლენდა და აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. 1914 წელს გიმნაზიის მოსწავლეების მიერ ხელნაწერ აღმანახ „მზეში“ გამოქვეყნდა კოტე ბაქრაძის წერილი ინდურ ფილოსოფიაზე. ამ წერილში ორი რამ გამოჩნდა: ყმანვილის საოცარი ნიჭიერება და ფილოსოფიით გატაცება.

1918 წელს დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კოტე ბაქრაძე სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. აქ მამინი ფილოსოფიის სწავლებას ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი შალვა ნუცუბიძე. მისი ლექციები და სემინარები წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა სტუდენტებში. ფილოსოფიის სემინარებში აქტიური მონაწილეობით, აზროვნების სიღრმითა და სიზუსტით ყველაზე მეტად სტუდენტი კოტე ბაქრაძე გამოირჩეოდა. ამის გამო შალვა ნუცუბიძე მას



აღნიშვნა ბათუმთან დაკავშირებით საჭირო იყო ჩვენთან მიმართებაში ბატონ კოტეს დიდი ზრუნვისა და ამავის დაფასებისა და არდავიწყებისათვის.

გასული საუკუნის 40-იანი წლების შუა ხანებიდან ბატონი კოტე ბაქრაძე იწყებს ინტენსიურ მუშაობას ლოგიკის დარგში. 1946 წელს გამოვიდა მისი „ლოგიკის“ სახელმძღვანელო პედაგოგიური სასწავლებლებისათვის; მისი „ლოგიკის“ სახელმძღვანელო სამუშაო სკოლებისათვის გამოქვეყნდა 1947, 1949, 1951, 1952, 1954 და 1955 წლებში. 1951 წელს რუსულ ენაზე გამოვიდა მისი ლოგიკის სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის, რომელსაც რეზონანსი ჰქონდა მაშინდელი კავშირის მასშტაბით. ლოგიკის სახელმძღვანელო ქართული უმ-

არაერთი ნაშრომი მიუძღვნა. მათ შორის აღსანიშნავია 1955 წელს გამოქვეყნებული წიგნი: „თანამედროვე ამერიკულ-ინგლისური ფილოსოფია იმპერიალიზმის სამსახურში.“ 1960 წელს, თბილისში, რუსულ ენაზე გამოვიდა მისი წიგნი «Очерки по истории новейшей и современной буржуазной философии», 1962 წელს გამოიქცა მისი „ეგზისტენციალიზმი“, 1965 წელს — „პრაგმატიზმი“.

ამის შემდეგ პროფესორი კოტე ბაქრაძე კვლავ უბრუნდება ახალი დროის ფილოსოფიის საფუძვლიან გამოკვლევას და 1969 წელს აქვეყნებს უაღრესად საინტერესო ნაშრომს: „ახალი ფილოსოფიის ისტორია“, ნაწილი I. ჩაფიქრებული ჰქონდა ამ წიგნის მე-2 ნაწილის დაწერაც, სადაც გაშუქებუ-

აკადემიკოს კოტე ბაქრაძის ეს აუდიტორია მისი სახელის უკვდავებასთან ერთად იმ დიდი ღვაწლის დაფასებაცაა, რაც მას მიუძღვის ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის წინაშე, გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან 1970 წლამდე, თავისი სახელოვანი მოღვაწეობის პერიოდში. მე ახლაც მასხოვს, როცა 1969 წლის შემოდგომაზე, ბათუმში მისი მორიგი სტუმრობის დროს ბატონების მიხილ სტამბოლიშვილსა და კოტე ბოლქვაძესთან ერთად ამ კორპუსის ახლადგარემონტებულ აუდიტორიებს ვათავალიერებდით, ბატონმა კოტემ ამ აუდიტორიაზეც მიუთითა და თქვა, რომ 1936-38 წლებში ხშირად უხდებოდა აქ ლექციების ნაკითხვა. ამიერიდან, უნივერსიტეტის პირველი კურსუსის #32 აუდიტორია აკადემიკოს კოტე ბაქრაძის სახელს ატარებს.

დასასრულს გვინდა მადლობა გადავუხადოთ უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ალიომა ბაკურიძეს, უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის 75 წლისთავთან დაკავშირებით რომ დააკმაყოფილეს ფილოსოფიის დეპარტამენტის თხოვნა: ერთ-ერთ აუდიტორიას მიკუთვნებოდა აკადემიკოს კოტე ბაქრაძის სახელი. დღევანდელი ღონისძიება სწორედ ამის განხორციელებაა.

რომან ზოსიძე,
ფილოსოფიის დოქტორი

ინტერვიუ ამერიკიდან მოვლინებულ ინგლისური ენის (ELF) პროფესორთან, დოქტორ პარლა მორტენსენთან

ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოვლინებული (ELF) პროფესორი, კარლა მორტენსენი 2012-2013 სასწავლო წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტის და ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებს ლექციების კურსს უკითხავდა. ამბობს, რომ საქართველო უმშვენიერესი ქვეყანაა, აქ ბევრი რამ მოეწონა, ხოლო ბათუმში ცხოვრება მისთვის ძალიან დიდი სიამოვნება იყო. მისივე თქმით, ქართველი სტუდენტები ინგლისური ენის სწავლის თვალსაზრისით, მონდემებულნი არიან.

ქალბატონო კარლა, რას გვეტყვი თქვენს შესახებ?

- მე ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ორეგონის შტატიდან, კერძოდ, ქალაქ პორტლენდიდან ვარ. ვასწავლი პორტლენდის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინტენსიური ინგლისური ენის პროგრამას. ჩემი სტუდენტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან არიან. დაოჯახებული არ ვარ. მყავს ორი კატა, ერთი - საქართველოში და ერთიც - ორეგონში.

როგორია თქვენი შთაბეჭდილებები საქართველოსა და ბათუმზე?

- საქართველო უმშვენიერესი ქვეყანაა, ულამაზესი ენითა და უძველესი

საქართველო უმშვენიერესი ქვეყანაა



კულტურით. მოუთმენლად ველი სასწავლო წლის დასრულებას, რომ თავისუფლად შევძლო საქართველოს სხვა კუთხეებში მოგზაურობა. რაც შეეხება ბათუმს, ეს ქალაქი ნაზავია ძველისა და ახლის, წარსულისა და აწმყოსი, აღმოსავლურისა და დასავლურისა. დიდი სიამოვნება მივიღე ამ ქალაქში ცხოვრებით, ბათუმის ულამაზეს ქუჩებში და პარკებში სეირნობით. ყველაზე მეტად კი ბათუმის ბულვარი და ბათუმის პარკში განთავსებული ზოოპარკი მომეწონა.

რას საქმიანობდით ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტში?

- ბათუმის სახელმწიფო უნივერსი-

ტეტში ვასწავლიდი ორ დეპარტამენტში - ევროპეისტიკის და ტურიზმის დეპარტამენტებში. ვასწავლიდი სხვადასხვა საგანს: ინგლისური ენის გრამატიკას, ბიზნეს ინგლისურს, ამერიკისმცოდნეობას, აკადემიურ წერას, ინგლისურ ენას ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. ასევე ვასწავლიდი ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების მაგისტრანტებს. სისტემატიურად ვესწრებოდი და მონიტორინგს ვუწევდი ევროპე-

ისტიკის დეპარტამენტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებს. ამავდროულად ვუძღვებოდი ყოველკვირეულ დებატების კლუბს. ასევე მოვანწყვე კონფერენცია ინგლისური ენის სწავლების მეთოდებზე, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 100-ზე მეტმა ინგლისური ენის მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა.

რას შთაბეჭდილება დაგრჩათ ქართველ სტუდენტებზე?

- ძალიან მიყვარს ჩემი სტუდენტები. ისინი მონდომებულები არიან ისწავლონ ინგლისური ენა. მიხარია და მიადვილდება მათთან მუშაობა. ისინი საკმაოდ კარგად ფლობენ ინგლისურს, მაგრამ ცოტათი მორიდებულები არიან. ვუსურვებ, რომ მეტად შემოვიდნენ კონტაქტში და მეტი ისაუბრონ.

-რაიმე საინტერესო ისტორიას ხომ ვერ გაიხსენებდით, რაც საქართველოში თქვენს ყოფნას უკავშირდება?

- გასული წლის შემოდგომაზე ქედაში ვიყავი ხალხურ დღესასწაულზე. ერთი პატარა ბიჭი მომიახლოვდა და მომესალმა. მეც მივესალმე, ერთმანეთს გავეცანით. მან ღვინო დალია ჩემთან ერთად, მადლევარძელა (გაუ-

მარჯოს!) და სურვილი გამოთქვა, მე დამ ჩემს მეგობრად დარჩენილიყო. მე მას ჩემი ელექტრონული მისამართი მივეცი და ვუთხარი - დაიცავით თქვენი ტრადიციები, ისწავლონ ინგლისური ენა და მუდამ მეგობრად დავრჩეთ-მეთქი (ინტერნეტის მეშვეობით)!

რა მოგეწონათ და რა არ მოგეწონათ საქართველოში ყოფნის დროს?

-უბრალოდ, ჩემი სურვილია რომ უნივერსიტეტის აუდიტორიებში მეტი კომპიუტერი და სწავლისათვის აუცილებელი სხვა საჭირო აღჭურვილობა იყოს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პატარაა. როცა ყველა სტუდენტი ერთად ლაპარაკობს, აუდიტორიებში ხმაურია.

რაც არ მომეწონა საქართველოში, ეს ცუდი მძლოლეობა (ხშირად არღვევენ წესრიგს).

მონონებით კი ბევრი რამ მომეწონა, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ხალხი და ქართველი სტუდენტები, ბათუმის უნივერსიტეტის არაჩვეულებრივი ადგილმდებარეობა - ხედით შავ ზღვაზე. საერთოდ, ყველაფერი მომეწონა საქართველოში და ბათუმში!



წერილი მეორე

უაღლესი განათლებისა და მაცნობარების რეფორმის ხონცაფციის პროექტი საუნივერსიტეტო და არასაუნივერსიტეტო მაცნობარების შესახებ

პირველ წერილში (გაზ. "ბათუმის უნივერსიტეტი", 4, აპრილი, 2013) ჩვენ განვიხილეთ გია დვალის ხელმძღვანელობით შემუშავებული კონცეფციის პროექტის ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა ძირითადად უმაღლესი განათლების რეფორმის საკითხებს. წინამდებარე წერილში შევეხებით იგივე პროექტს საუნივერსიტეტო და არასაუნივერსიტეტო მეცნიერების რეფორმის შესახებ.

საუნივერსიტეტო მეცნიერება. პროექტი კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ წამყვანი უნივერსიტეტები, ამავე დროს, წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებია. უნივერსიტეტის პროფესორები აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო მუშაობაში და უზრუნველყოფილი არიან კვლევისათვის აუცილებელი რესურსებით (ლაბორატორიული ფართი, ხელსაწყო-დანადგარები, სამეცნიერო და ტექნიკური პერსონალი). პროფესორების ნაწილი შეიძლება კვლევას აწარმოებდეს უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთაც.

კვლევებისათვის საჭირო რესურსები:

1. პირდაპირ უნივერსიტეტიდან მიღებული ერთჯერადი ან რეგულარული ხასიათის დაფინანსება. ერთჯერადი დაფინანსების მაგალითია ე.წ. სასტარტო გრანტი, რომელიც ეძლევა უნივერსიტეტში ახლად მიღებულ პროფესორს მისი ლაბორატორიის ან კვლევითი ჯგუფის საწყისი მოწყობისათვის. გრანტის ოდენობა განისაზღვრება პროფესორსა და უნივერსიტეტს შორის მოლაპარაკების შედეგად.

2. დაფინანსების მეორე წყაროა პროფესორის მიერ მოპოვებული გარე გრანტი.

3. ამა თუ იმ დარგის ეფექტურად განვითარების მიზნით, უნივერსიტეტმა შეიძლება შექმნას კვლევის დარგობრივი ინსტიტუტი ან ცენტრი. ცენტრში გაერთიანებული მკვლევარები დამატებით დაფინანსებას იღებენ უნივერსიტეტიდან. ისინი ქმნიან ერთგვარად გამორჩეულ ინტელექტუალურ მასას მეცნიერების მაღალ დონეზე გასავითარებლად. ამ მიზნით, უნივერსიტეტმა შეიძლება კერძო დონორები მოიზიდოს. განსაკუთრებით მსხვილი დონორის არსებობის შემთხვევაში შეიძლება ცენტრს დონორის სახელი დაერქვას. ამგვარად, უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო ცენტრი ფინანსების მოზიდვის წყაროდაც გვევლინება.

არასაუნივერსიტეტო მეცნიერება. არასაუნივერსიტეტო მეცნიერება მოიცავს მეცნიერების იმ ნაწილს, რომელიც ბაზირებულია უნივერსიტეტ-



ბის გარეთ არსებულ აკადემიურ დაწესებულებებში. ოღონდ მასში არ იგულისხმება ისეთი სამეცნიერო კვლევები, რომლებიც, მართალია, ტარდება უნივერსიტეტის გარეთ, მაგრამ არ მიეკუთვნება საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ სფეროს (მაგალითად, კვლევები, რომლებსაც აწარმოებენ კერძო კომპანიები, სახელმწიფო გასაიდუმლოებული ლაბორატორიები და ა.შ.).

კონცეფციის პროექტში განხილულია მხოლოდ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი კვლევები, რომელთა შედეგები ქვეყნდება პერიოდიკაში და რომლებიც შეიძლება ისარგებლოს მსოფლიოს ნებისმიერმა მკვლევარმა.

ასეთი სამეცნიერო დაწესებულებები შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად.

პირველი კატეგორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი არის სრული ავტონომიის მქონე მრავალდარგობრივი ინსტიტუტი, რომელიც არ მოიაზრება უფრო დიდი ერთეულის ნაწილად.

მეორე კატეგორიის ინსტიტუტები უფრო ფოკუსირებულია რომელიმე კონკრეტულ დარგზე. მაგალითად, მაქს პლანკის სახელობის ინსტიტუტი გერმანიაში.

უნივერსიტეტებისაგან განსხვავებით, ეს ინსტიტუტები არ არიან ჩართულნი ბაკალავრიატის სასწავლო პროცესში, მაგრამ აქტიურად მონაწილეობენ დოქტორანტების მომზადებაში, სამეცნიერო კვლევებში მათ ჩართვაში.

ამ კვლევითი ინსტიტუტების წარმატება, უნივერსიტეტების მსგავსად, ეფუძნება აკადემიურ თავისუფლებას. ეს ინსტიტუტები მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერების გარშემო აშე-

ნებული სტრუქტურებია, სადაც მეცნიერებს აქვთ სრული უფლება აირჩიონ კვლევის საგანი და პერსონალიც.

მოკლედ, ამ ინსტიტუტების მთავარი სტრუქტურული პრინციპი ჰარნაკის პრინციპია, რომლის ძირითადი აზრი ისაა, რომ სამეცნიერო ინსტიტუტი მეცნიერის პიროვნებაზე (ცენტრირებული კვლევითი ორგანიზაციაა). აქაც მეცნიერის აკადემიური თავისუფლება დაცულია ტენუარის სისტემით, რომელიც თავისი შინაარსით საუნივერსიტეტო ტენუარის მსგავსია.

ინსტიტუტის მთავარი თვითმმართველი ორგანო არის ტენუირებული მეცნიერების კრება. ინსტიტუტშიც არსებობს გარეშე მრჩეველთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია მსოფლიო დონის წამყვანი სპეციალისტებით. საბჭოს წევრებს ირჩევს ინსტიტუტის უმაღლესი ადმინისტრაცია დროებით, მაგალითად, 3 წლის ვადით. ეს საბჭო პერიოდულად ახდენს ინსტიტუტის მუშაობის მონიტორინგს, ავლენს ხარვეზებს, წერს სათანადო დასკვნას. მაგრამ არც საბჭოს და არც ადმინისტრაციას, აკადემიური თავისუფლების კონცეფციიდან გამომდინარე, არ შეუძლია პირდაპირ აუკრძალოს ტენუირებულ მეცნიერს კვლევის გაგრძელება, თუმცა შეუძლია კვლევების მიზანშეწონილობა გახადოს დეტალური განსჯის საგნად, რასაც პერსპექტივაში შეიძლება მოჰყვას მოცემული პროექტის დაფინანსების შეზღუდვა ან შეწყვეტა.

როგორც ვხედავთ, საუნივერსიტეტო სისტემის მსგავსად, საინსტიტუტო სისტემა შედგება 3 მმართველი რგოლისაგან: ტენუირებულ მკვლევარ-პროფესორთა კრება, ინსტიტუტის უმაღლესი ადმინისტრაცია (პრეზიდენტი) და გარეშე მრჩეველთა საბჭო.

პროექტში აღნიშნულია, რომ საინსტიტუტო მეცნიერების დიდი უპირატესობა არის ბიუჯეტიდან გარანტირებული კვლევითი დაფინანსება. ეს გამორიცხავს გრანტის მიღებაზე ზედმეტ ფიქრსა და ზრუნვას და მკვლევარებს საშუალება ეძლევათ კვლევის სტრატეგია დაგეგმონ უფრო ხანგრძლივი ვადით, ვიდრე ამას მოკლევადიანი საგრანტო სისტემა იძლევა. ამდაგვარი საინსტიტუტო სამეცნიერო-კვლევითი სისტემა წარმატებით თანაარსებობს საუნივერსიტეტო

კვლევების სისტემის გვერდით და ავსებს მას. შესაბამისად, კონცეფციის ავტორები მიიჩნევენ, რომ ასეთი ორი სისტემის თანაარსებობა აუცილებლად უნდა ჩაიდოს ქვეყნის მეცნიერული მოწყობის სტრატეგიაში, რასაც არ შეიძლება არ დავეთანხმეთ. მაგრამ მაინც გვინდობა რიტორიკული კითხვა: განა მეცნიერებათა აკადემიის საკმაოდ ძლიერი ინსტიტუტების შემთხვევაში გამორიცხული იყო ან გამორიცხულია ასეთი თანაარსებობა?

აღნიშნულ კითხვაზე პასუხს იძლევა სამეცნიერო სისტემის მოწყობისა და განვითარების ჰარნაკის პრინციპი, რომლის არსია აკადემიური თავისუფლება. კონცეფციის პროექტის ავტორთა აზრით, საბჭოთა კავშირში ხდებოდა სამეცნიერო სისტემის ჰარნაკის პრინციპზე მოწყობის იმიტაცია მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების სახით. იგივე ვითარება იყო რესპუბლიკებშიც. გასაგები მიზეზები გამო, საბჭოთა კავშირში შეუძლებელი იყო აკადემიური თავისუფლების დანერგვა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს სრული ჭეშმარიტებაა. ამის შეუძლებლობას შეენირა სწორედ იმ პერიოდის ბევრი ცნობილი მეცნიერი, ბევრის სიცოცხლე კიდევ საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა.

კონცეფციის პროექტის მიხედვით, საქართველოში უნდა შეიქმნას ჭეშმარიტად ჰარნაკის პრინციპზე დაფუძნებული საინსტიტუტო მეცნიერული საზოგადოება. ამისათვის, კონკურსის და საერთაშორისო ექსპერტთა დახმარებით, უნდა გამოვლინდეს ის ცალკეული ინსტიტუტები, რომელთა ბაზაზე შეიძლება მოხდეს განახლებული ინსტიტუტების შექმნა.

ასეთ სიცოცხლისუნარიან ინსტიტუტებში უნდა მოხდეს მეცნიერთათვის ტენუარის სტატუსის მინიჭება კონკურსის გზით, გარეშე, მიუკერძოებელი კომიტეტის მიერ. აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს ახალი კადრების გარედან მოზიდვასაც. ამის შემდეგ უნდა შეიქმნას მართვის ზემოაღნიშნული სამი რგოლი (ტენუირებულ მეცნიერთა საბჭო, უმაღლესი ადმინისტრაცია და გარეშე მრჩეველთა საბჭო).

ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, მაინც იბადება კითხვა: რატომაა მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოხსენიებული მეცნიერებათა აკადემია? ცნობილია, რომ გასაგებ ხარვეზებთან ერთად, მეცნიერებათა აკადემიასთან დაკავშირებულია უმნიშვნელოვანესი მიღწევები სამამულო (და არა მხოლოდ სამამულო) მეცნიერება-

ში. რა უშლის ხელს უნივერსიტეტს გარეთ არსებული, უკვე ჰარნაკის პრინციპის მიხედვით მოწყობილი, აკადემიური თავისუფლების მქონე სამეცნიერო ინსტიტუტების გაერთიანებას შესაბამისად განახლებულ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში? აკადემიისა, რომლის ავტორიტეტისათვის ნიკოლოზ მუსხელიშვილის და ილია ვეკუას სახელებიც იკმარება და რომლის პირობებშიც აკადემიური ხარისხისა და სამეცნიერო მუშაობისადმი მეტი სტიმული, ინტერესი და პასუხისმგებლობა იქნებოდა.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვყოფთ საუნივერსიტეტო განათლებასა და მეცნიერებას, მაგრამ „არასაუნივერსიტეტო მეცნიერებად“ სახელდებული და უნივერსიტეტს გარეთ არსებული სამეცნიერო ინსტიტუტების გაერთიანება ერთიან სისტემაში ორგანიზაციული თვალსაზრისითაც უფრო გამართლებული ჩანს, ვინაიდან ქვეყნის მასშტაბით ორი დიდი საქმის - სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების სფეროსა და არასაუნივერსიტეტო მეცნიერების სფეროს ერთად მოვლა ძნელი და ნაკლებად ეფექტური გვეჩვენება.

კონცეფციის პროექტში საუბარია, აგრეთვე, ახალი სამეცნიერო ინსტიტუტის საცდელი ვადით (ვთქვათ, 5 წლით) შექმნის შესაძლებლობაზე და ადამიანურ ფაქტორთან (მეცნიერთანამშრომლებთან) დაკავშირებულ პრობლემაზეც.

მეცნიერი შეიძლება წარმატებული არ იყოს, მაგრამ მან დაამტკიცა ერთგულება მეცნიერებისადმი და თავისი წვლილი შეიტანა მეცნიერული ატმოსფეროს შექმნა-შენარჩუნებაში. მეცნიერული კოლეგიალობიდან გამომდინარე, ასეთ მკვლევარებს უნდა შეუნარჩუნდეთ ხელფასი და მიეცეთ შესაძლებლობა მეცნიერული მოღვაწეობის გასაგრძელებლად. შეიძლება ისინი გამოგვადგენს სკოლის მასწავლებლების რიგების შესავსებად. სამეცნიერო ხარისხის მქონე სკოლის მასწავლებლებს უნდა შეექმნათ ძლიერი მატერიალური დაინტერესება.

როგორც ვხედავთ, კადრებისადმი მიდგომის თვალსაზრისით, კონცეფციის პროექტი მეცნიერების რეფორმის შემთხვევაშიც ჰუმანურობით გამოირჩევა.

ნოდარ ბარამიძე,
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ტურიზმის ფაქულტეტის ტრადიციული ტონისძიება


ტურიზმის ფაქულტეტის მესამე კურსის სტუდენტებმა „კიმპინ ჯგუფი“ შექმნეს. მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი ტურიზმის ფაქულტეტის მესამე კურსის სტუდენტი რობი ბაქანიძეა: „ტურიზმის ფაქულტეტის სტუდენტებმა თვითმმართველობასთან ერთად შევექმენით „კიმპინ“ ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც მე ვარ. 12 მაისს მივდივართ დიდაჭარაში, ეს ღონისძიება ჩვენ დაუკავშირეთ ტურიზმის ფაქულტეტის ტრადიციულ ღონისძიებას და გადავწყვიტეთ ნავიყვანოთ ჩვენი სტუდენტები და ის ასევე უცხოელი სტუდენტები, რომლებიც ჩვენთან სწავლობენ. ვგეგმავთ 200 სტუდენტის წაყვანას, 100 სტუდენტი იქნება ტურიზმის ფაქულტეტიდან, 60 სტუდენტი იქნება ბათუმში არსებული სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, (საზღვაო აკადემია, ხელოვნების უნივერსიტეტი და ბიზნეს ცენტრი) და დანარჩენი 40 ადამიანი წამოვა თვითმმართველობიდან.

მხარდამჭერი არის სპორტისა ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ეს არის ერთდღიანი, ისტორიულ-რელიგიური შინაარსის ღონისძიება, ვგეგმავთ ფილმის გადაღებას, ყველაფერი ეს — ღონისძიებაც და ფილმის გადაღებაც განხორციელდება სტუდენტების მონაწილეობით. ჩვენი ჯგუფი ასევე გეგმავს სხვა არაერთ ღონისძიებას, რომელიც ეტაპობრივად დაიგეგმება და შესრულდება“.

12 მაისი...

12 მაისს, ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარაში გაემგზავრნენ. „ყველაფერი გეგმის მიხედვით განხორციელდა, გამოგვიყ-

ვეს ათი სამარშრუტო ტაქსი, რომელსაც ჰქონდა ნუმერაცია. პირველად ავედით ხულოს ცენტრში, სადაც ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიაში მოვილოცეთ, შემდეგ წავიქვეთ დიდაჭარაში, სადაც ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელთან ერთად პირველად შემობრძანდა საქართველოში. მართლაც საამაყო, რომ სტუდენტებმა ვნახეთ ეს ადგილები, იქვე მოვანყვეთ პიკნიკი და ერთმანეთს ჩვენი შთაბეჭდილებები გავუზიარეთ. ჩვენი მარშრუტის ბოლო გაჩერება იყო მახუნცეთის ჩანჩქე-



რი. ხელმძღვანელებმა 200 სტუდენტს სრული მობილიზაცია გაუკეთეთ და ყველაფერი წინასწარ განსაზღვრული წესების შესაბამისად განხორციელდა. იყო კურიოზებიც... განვიმდა... მართლაც სახალისო იყო, „ტალახით გავითხუპნეთ“ და გადავიღეთ სამაისოვრო ფოტოები. ექვც სტუდენტური ცხოვრების საინტერესო ნაწილია“, — საუბრობს 12 მაისის შთაბეჭდილებების შესახებ რობი ბაქანიძე.

„კიმპინ ჯგუფი“ არაერთ ღონისძიებას გეგმას, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება“, — ერთხმად ამბობენ ჯგუფის ხელმძღვანელები: რობი ბაქანიძე, ბესო ბოლქვაძე და მინდია კურცხალიძე.

სალომე მუხამანია,
ისტორიის სპეციალისტის მესამე კურსის სტუდენტი



რამაზ სურმანიძე - 80 „ბაბუღი ბაბოქანი კასი“

ლი ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა და მან შეაყვარა მშობლიური მწერლობა. სხვათა შორის, ბატონი რამაზის მომავალ შემოქმედებით გვგვამბობს პირველ პუნქტად ჩანონ-წელია მემუარული ხასიათის წიგნი „ჩემი მასწავლებლები“ შექმნა.

ნიჭიერმა ახალგაზრდამ სწავლა ჯერ ბათუმის სამედიცინო სასწავლებელში (194-1950), შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძო (1950-1956). მეორე კურსიდან დაიწყო მუშაობა ფერმალი ტილისის პირველ (არამიანის) საავადმყოფოში მიმღებ განყოფილებაში. სუთი წლის განმავლობაში უმძიმესი, 24-საათიანი რეჟიმით შრომამ ნაყოფი გამოიღო, ბატონმა რამაზმა უზარმაზარი პრაქტიკული გამოცდილება მიიღო და ინსტიტუტის დამთავრებისას უკვე ჩამოყალიბებული, პროფესიონალი ექიმი იყო. ინსტიტუტში ასწავლიდნენ სახელოვანი პროფესორები: ვლადიმერ ასათიანი, ვალერიან ანდლუღაძე, ბესარიონ ლოლობერიძე, ირაკლი ფაღავა, მიხეილ ჩაჩავა, პეტრე შუაჩიძე და სხვები.

რამაზ სურმანიძე სტუდენტობიდანვე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა, იყო ფაკულტეტის ახალგაზრდული ორგანიზაციის მდივანი. ბატონი რამაზი მრავალმხრივი ნიჭით შემკული პიროვნებაა. მას უყვარს ხელოვნება, მუსიკა, ცეკვა. ის იყო ინსტიტუტის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის წევრი. უფრო მეტი, იგი შესანიშნავი სპორტსმენი – ინსტიტუტის მძლეოსანთა ნაკრებისა და ფეხბურთის გუნდის წევრი იყო. სტუდენტობის ბოლო წელს დაემთხვა 1956 წლის სისხლიანი მარტი. მიტინგის შემდეგ, იმ ავბედით საღამოს, საავადმყოფოში მორიგობისას უამრავ დაქირხლს გაუწია დახმარება.

დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა სოფელ ბარათაულში დაიწყო და ექვსი თვის განმავლობაში შეძლო ის, რასაც სხვები წლების მანძილზე ვერ ახერხებდნენ: მოიპოვა უდიდესი ავტორიტეტი არა მარტო ბარათაულის, არამედ მთელი შუახევის რაიონის მოსახლეობაში. ახალგაზრდა ექიმის გამოჩენილი პროფესიული და ორგანიზატორული ნიჭი შეუმჩვეელი არ დარჩენილა და 23 წლის რამაზ სურმანიძე გადაიყვანეს შუახევის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგედ (1957–1963), აქედან დაიწყო რამაზ სურმანიძის, როგორც ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორის, როგორც საპატო მოღვაწის.

რამაზ სურმანიძე წარმატებით ათავსებდა ერთმანეთს სამეცნიერო, შემოქმედებით და საორგანიზაციო საქმიანობას. მოგვხსენებთ, ეს არც ისე იოლი საქმა. ბატონ რამაზის სასახლე უნდა ითქვას, რომ მან ამ სრულიად განსხვავებული სფეროების ჰარმონიული შეთავსება შეძლო და ყველგან მოახერხა საკუთარი

კვალის დატოვება. ბატონი რამაზი მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე: იყო ბათუმის ჯანდაცვის განყოფილების გამგე (1963-1975), აჭარის კურორტების მართვის საბჭოს თავმჯდომარე (1975-1977). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრი (1977-1985).
რა თქმა უნდა, იყო ნინალმდეგობებიც, გაუგებრობებიც, რასაც 1985 წელს მოჰყვა რამაზ სურმანიძის თანამდებობიდან გადაყენება, პარტიის რიგებიდან გარიცხვა ანუ ხელისუფლების რისხვა და უზუფერობის ხუთწლიანი პერიოდი; მაგრამ საინტელ-საგვევლამა თავისი გზა არ დაკარგა და 1990 წელს ბატონი რამაზ სურმანიძე ხალხის რჩეული გახდა: შუახევის რაიონის მოსახლეობამ ის დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი მწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატად აირჩია. ის ერთ-ერთი იყო



მათ შორის, ვინც ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. ბატონი რამაზი აქტიური დეპუტატი იყო, წელიწადზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში 14-ჯერ გამოვიდა სტუმრებზე და პრინციპულად დააყენა ჩვენი კუთხისთვის საჭირო საკითხები: ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის, აჭარის ბუნების დაცვის, მაიორიტარი დეპუტატების უფლება-მოვალეობების თუ სხვათა შესახებ. ბატონი რამაზი მრავალმხრივი იყო არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად: 1977-1985 და 2008–2012 წლებში.

ბატონმა რამაზმა 1990 წელს დააფუძნა ხალხური მედიცინის აჭარის რეგიონული ასოციაცია „მედიცინა“. 1991 წელს კი დააარსა ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტი, რომლის რექტორი ბრძანდებოდა წლების განმავლობაში. 1994–2004 წლებში რამაზ სურმანიძე იყო უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს

საზოგადოების აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე. ბატონი რამაზი გახლავთ აჭარის ჩოხოს რაინდთა ორგანიზაციის დამფუძნებელი და საპატიო თავმჯდომარე (2006). ამ დასის მიზანის ისე ხელდას: ეროვნული ზნე-ჩვეულებების, ადათ-წესების, ტრადიციული ჩაცმულობის, ქართული რაინდული ჩვევების გამოვლენა, შენარჩუნება, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და კულტურული ძეგლების შესწავლა-პოპულარიზება.

რამაზ სურმანიძემ სამეცნიერო მუშაობა ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაიწყო. მისი კვლევითი სფერო მოიცავს მოზარდთა ფიზიკურ განვითარებას და ჯანმრთელობის მდგომარეობას. საკვლევ ობიექტებად ადგილობრივი იყო ზემო აჭარის სკოლების კონტინგენტი. მან ამავე თემაზე 1968 წელს პროფესორ ალექსანდრე ყანჭელის ხელმძღვანელობით დაიცვა მედიცინის

მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. შემდგომში საკვლევითი მიმართულება, პრიორიტეტები შეიცვალა. რამაზ სურმანიძე დაინტერესდა მეცნიერების ისტორიით და თემაზე „ქართული კარაბადი – აჭარაში აღმოჩენილი ვარიანტი“ – 1999 წელს დაიცვა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ბატონი რამაზი არჩეულია რამდენიმე დარგობრივი, კერძოდ, მედიცინის მეცნიერებათა, სამედიცინო ეკოლოგიისა და ფაზისის აკადემიების ნამდვილ წევრად.
რამაზ სურმანიძეს დღემდე გამოქვეყნებული აქვს 2022 უბუღაკაცია, მათ შორის: 57 – მონოგრაფია, რვა – თარგმანი. სამეცნიერო ნაშრომთა რაოდენობა 300–ს აღწევს, მათ შორის, 40 მონოგრაფიაა, ის, ასევე, ავტორია 15 რომანისა და მოთხრობათა კრებულისა. 1983 წლიდან რამაზ სურმანიძე არის საქართველოს ყურნალისტთა კავშირის, ხოლო 1987 წლიდან – მწერალთა კავშირის წევრიც. ის გახლავთ საქართველოს მედიცინის დამსახურებული ექიმი. მიღებული აქვს აბუსერისძე ტბელისა და

ზაქარია ჭიჭინაძის სახელობის პრემიები, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. არის ბათუმისა და შუახევის საპატო მოქალაქე. შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ რამაზ სურმანიძე ჩვენს უნივერსიტეტთან დაკავშირებულია, როგორც ლექტორი: 1969-1979 წლებში ის ხელმძღვანელობდა მედიცინის დების მოსამზადებელ კურსებს; ასწავლიდა სასკოლო ჰიგიენას ასაკობრივი ფიზიოლოგიით. 2003–2008 წლებში კი ბატონი რამაზი მომავალ მედიკოსებს მედიცინის ისტორიას უკითხავდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რამაზ სურმანიძის საზოგადოებრივი საქმიანობა, მისი ომახიანი, მაღალნიჭიერი, მამულმპილური, პრინციპული გამოსვლა არავის ტოვებდა გულგრილს. შეიძლება ითქვას, რომ არ ყოფილა საქართველოს, განსაკუთრებით მისი გამოჩენილი მრავალმხრივი – აჭარის – ცხოვრებაში მუქანაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ ბატონი რამაზი არ გამოჩნდა იქნებოდა მას და თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვა. ერთსაც დავამატებო: ბატონი რამაზი ყველგან და ყოველთვის – იყო ის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე, მინისტრი, დეპუტატი, მოკლედ, თანამდებობაზე თუ მის გარეშე, რჩებოდა რამაზ სურმანიძემ – კეთილშობილ, თავმდაბალ, ინტელიგენტ პიროვნებად, მუდამ მზადყოფად თანადგომისა და მეგობრობისათვის. ბატონ რამაზს კარგი ოჯახი აქვს. ჰყავს შესანიშნავი მეუღლე- ნაზი ხაბაძე, რომელთან ერთადაც სამი ვაჟი გაუზარდა სამშობლოს: ზურაბი, ფრიდონი და ზაზა. ის გახლავთ ბაბუა ხუთი შვილიშვილისა.

სამწუხაროდ ბატონმა რამაზმა უმძიმესი ადამიანური ტრავმა გადაიტანა, თუმცა ამ ტკივილსაც ღირსეულად ატარებს და ცდილობს გარემოში ყოფილი არ მოახვიოს ის.

ოცი წლის წინ, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონი რამაზი ბრძანდებდა: „მოხუცებულობის სულაც არ შემიძინა. მე მიმაჩნია, რომ ჩემს გვირგვინს ერთად მრავალი ათასი წელი ვიცოცხლე და კიდევ მრავალს ვიცოცხლებ ჩემს ახალ წიგნებთან, ახალი ადამიანების აღმოჩენასთან ერთად.“

ბატონი რამაზ, გისურვებთ კიდევ მრავალი წიგნი შექმნას და თქვენს ახალ გვირგვინს ერთად დიდხანს სიცოცხლეს, რამეთუ, ერთ მწერალს თუ დავესესხებთ, თქვენი „ელეგანტური სისადავე ისე უნდება და ამშვენებს ბაბუშს, როგორც ზღვის სანაპიროს ასწლიანი მავნობის წიგნი ლამაზი ხავერდოვანება.“

ნება მიბოძეთ, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და პროფესორ-მასწავლებელთა სახელით კიდევ ერთხელ მოგილოცოთ სახელოვანი ოუბილე, გისურვოთ მზერაძეობა, ენერჯია და შემოქმედებითი წარმატებები, რადგან თქვენთან კეთილშობილი, ინტელექტუალი მამულიშვილები, დახვეწილი ინტელიგენტები ძალიან სტყნიდბა საქართველოს. იმედოვნებ, რომ თქვენი ბრძნული, წინიანი სიტყვა კიდევ დიდხანს არ მოაკლდება ჩვენს სამშობლოს.

ალიონა ბაპურიძე
რსუს რექტორი, სრული პროფესორი

ბატონმა რექტორმა აღნიშნა, რომ რამაზ სურმანიძე ჩვენს უნივერსიტეტთან სისხლხორციელადაა დაკავშირებული. ის წლების განმავლობაში ასწავლიდა სტუდენტებს. როგორც არ უნდა გაგვიკვირდეთ, ბატონი რამაზი ჩემი ლექტორიც ბრძანდებოდა. ფილოლოგებს დიდად არ მიგვიყვავდა გული ეთნობისა კენ და მედიკოს ლექტორებსაც, ცოტა არ იყოს, უგულისყურად ვუსმენდით, მაგრამ აი, აუდიტორიაში შემობრძანდა საოცრად ელეგენტური, დახვეწილი, განუთქვამელი პიროვნული ნიბლის მქონე რამაზ სურმანიძე და სტუდენტებიც გატრუნულები მივაჩერდით, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ გარეგნული ეფექტი იყო, თურმე მართლა გასასაოცარი რამე ნინ გველოდებოდა: დაიწყო ლექცია და...ბარე იმ ფილოლოგს შეშურდებოდა ბატონი რამაზის ერუდიციის, ფართო ლიტერატურული განათლებისა და მჭევრმეტყველების. არასოდეს დამავინყებდა: ავადმყოფის განკურნებაში პაციენტის ფსიქოლოგიური განწყობის, რწმენის მნიშვნელობაზე საუბრისას ბატონმა რამაზმა ი. ჰენის უბრწყინვალესი ნოველა „უკანასკნელი ფოთილი“ მოიშველია და გენიალური ნოველისტის შემოქმედება მოხვედნილად გამოიყენა სამედიცინო ფსიქოლოგიის პრობლემების განსახილველად.

შემდეგ უფრო ახლოს გავიცანით ბატონი რამაზი და დავრწმუნდით: დორიანოვილიასც არ იყოს, ისაა კაცო, რომელსაც ლიტერატურა უყვარს, და არა მარტო უყვარს, ცხოვრობს ამ ლიტერატურით. და აი, ამდენი წლის შემდეგ გიყურებთ, ბატონი რამაზ, და სულხან-საბას სიტყვებით მინდა მოგმართოთ: თქვენ, ბატონი რამაზ, ისეთი გრაციოზი, ისე მოხდენილად ატარებთ თქვენს ასაკს, რომ ყველა ისურვებდა ამ ხნისა ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ თქვენ, მართლაც, ხვავრიელი შემოგვამო გიდავთ: მოთხრობების კრებულები, რომანები, უმდიდრესი უბუღიციცტიკა და მრავალფეროვანი ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევები – აი, არასრული ჩამო-

„ლაზაზი ფიქრის მწერალი“


ნათვალნი თქვენი მონაგარისა. ყველაფერი ეს კი თქვენს სალოცავს – სამშობლოს – მიუძღვენით. პირველი მოთხრობა – „გულის სახსოვარი“ – ბატონმა რამაზმა 1967 წელს გამოაქვეყნა, ამას მოჰყვა მოთხრობების ციკლი:

- „პაპაჩემის ხანჯალი“
- „ორმოცდაერთი“
- „სხვებს უნათებდე“
- „ბოროტი კაცი“
- „სახეზე ღიმი შეჩრა“
- „შინ და გარეთ“
- „ციციანათლა“
- „თავისუფლების გზა“
- „შუქი ნათლისა“
- „გოგოლა“

ასე იქცა რამაზ სურმანიძე აჭარაში გადაჩენილი ქართული სიტყვის ერთ-ერთ ერთგულ და გულანთებულ ქურუმად.

ბატონ რამაზ სურმანიძის მოთხრობებში დახატულია საქართველოსა და მისი მრავალფეროვანი კუთხის – აჭარის ბუნების განუთქვამელი, მომხიბლავი პეიზაჟები, იხსატება ქართველთა ერთი ულამაზეს, კოლორიტული ტომის ისტორიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა: საუკუნეთა მანძილზე თვითმოყოფადობის შენარჩუნებისათვის დაუცხრომელი ბრძოლა, ოცდაათიანი წლების ტრაგედია, მეორე მსოფლიო ომის ცრემლი და სისხლი, დაკარგვის ტკივილი და გამარჯვების სიხარული, ორად გახლენილი ქართული მიწისა და საზღვრის გაღმა-გამოღმა დარჩენილი ოჯახების უბედურება.

მოთხრობებში დახატული გვიჩვენებს ცხოვრება ნინალმდეგობებითა და დრამატიზმითა აღსავსე. სიკეთესთან, შემწყნარებლობასა და გულისხმიერებასთან ერთად



ჩვენ მოწმე ვხდებით ადამიანთა ვერაგობის, ცინიზმის, კაცთმოყულებობისა და გამცემლობის, მაგრამ მკითხველი გრძობს, რომ საბოლოოდ ცუდაცობა არავის შერჩება, „ბედი მდევარი“ ადრე თუ გვიან ყველას ნამოწმევა და თუ ბოროტი კაცი ამქვეყნიურ სამართალს გაექცევა, ღმერთი მაინც მოსთხოვს პასუხს.

ბატონი რამაზი სამი რომანის ავტორიცაა:

- 1985 – „ემრულა“
 - 2005 – „მურღულის ქვა“
 - 2010 – „ლაზაზის ლგენდა“
- რომანში „ემრულა“ დახატულია სამხრეთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ცნობილი გმირის ემრულა მალაყამაძის ფათერაქებით აღსავსე ცხოვრება. მასში ცოცხლდება

აჭარა-შავსეთში ოსმალთა ბატონობის ბოლო წლები, ამ მხარეთა ვათაისუფლება და რუსთავან მათი კოლონიზაციის პირველი პერიოდი. ეს წიგნი რამდენიმე ათეული ავტორის ნაშრომია და ზემოთ გადმოცემას ეყარება. მასში გამოყენებულია ემრულას თვითმხილველთა მოგონებები, თქმულებები, დოკუმენტური პირველწყაროები. რომანის სამოქმედო არეალი თითქმის მთელ სამუსლიმანო საქართველოს მოიცავს, მისი გმირები სხვადასხვა მრწამსის, ორიენტაციის, ოცნებებისა და იდეების მატარებელი არიან. საინტერესოა, რომ მწერალმა არაერთგზის იმოგზაურა შავსეთ-იმერხევიში, მიინახულა ის სოფლები, სადაც იცხოვრა ემრულა იმერხეველმა. სწორედ ასეთი დიდი შრომის შედეგია ის, რომ ისტორიული მასალის გააზრებით, გმირთა

სახეებითა და მხატვრული ოსტატობით „ემრულა“ ჩვენს ტკივილიან ნარსულზე შექმნილ ნაწარმოებებს შორის ერთი გამოჩენილია. მასში ცოცხლდება დრო:
„როს სხალთაში სხალთისატებს უსაპნადენენ ყელში კანახს, ჯავარქედზე ჯამეს დამდნენ, ვარდიქედზე ეკლის კარავს, მე ვარ, შემხედვარე, ნამსხვანიდან გაველ განა, კლდეს ტყეები ბალანივით აბურტვლოდა უბიდანა, „ლეულ-ლურდან დევექებდი, კანკალუბდა ხელში დანა, გამჩენლო, სხვა რა მექნა – აჭარელი ვიყავ განა!“
გამოჩენილი, საამაყო აჭარელი – ჩვე-

ნი კუთხის უდიდესი მეცნიერი, მწერალი ტბელ აბუსერისძე – ენიციკლოპედიური განათლების მქონე, აზროვნების თავისუფლების იმპიათი მაგალითი-ბასილი – იხატება „ლაზაზის ლგენდაში“.

რაც შეეხება რომანს „ემრულის ქვა“ – ის 30–იანი წლების საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლია ცხოვრების ხატვას. ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ეპოქა, როცა „საქართველოზე კაენის სულმა გადასრილა“. განსაკუთრებული წვლილი ქართულ მწერლობაში რამაზ სურმანიძემ მწერალთა ბიოგრაფიების დეტალებისა და ლიტერატურის ისტორიის კვლევა-ძიებით შეიტანა. აქაც ავტორი არ ღალატობს ერთხელ არჩეულ გზას და ცდილობს ქართული მწერლობის ისტორია ახალი, ჯერ კიდევ უცნობი მასალებით გაამდიდროს. ასე შემოვიდა სამეცნიერო მიმოქცევამ:

დიდი ილიას ეპისტოლარული მემკვიდრეობის რამდენიმე უცნობი ნიმუში.
აკაკის ბათუმური მისამართები.
ალექსანდრე ყაზბეგის შუთთიანი მწერლური ცხოვრების ბათუმის პერიოდი.

ვაჟა-ფშაველას, ეგნატე ნინოშვილის, მხატვარ-მოქანდაკეების, კომპოზიტორების, მსახიობების შემოქმედებითი ბიოგრაფიები.

რამაზ სურმანიძემ, ასევე, დაწვრილებით გამოიკვლია და დაადგინა მრავალი ეპიზოდი ანტონ ჩხვოვის, მაქსიმ გორკის, სერგე ესენინის, მიხეილ ბულგაკოვის, პეტრე ჩაიკოვსკის, მიხეილ ვასნეცოვის და სხვათა ბიოგრაფიებიდან, რომლებიც უცნობი იყო არა მარტო ქართველი, არამედ რუსი მკითხველებისა და სპეცილისტებისთვისაც კი. ბატონმა რამაზმა, მართლაც, უდიდესი სიყვარულით მარცვალ-მარცვალ შეკრიბა ყველაფერი, რაც ეხება აჭარის შედარებით ახლო (გაგრძელება მე-9 გვერდზე)



მრავალმხრივი ინტერესები მოღვაწეობა ლევის ნიჭია. ბევრს ხიბვდა ამ ნიჭის გამოვლენა, მაგრამ მათ შორის მწერალი, მეცნიერი, პროფ. საზოგადო მოღვაწე რამაზ სურმანიძე მეცნიერი გამოირჩეულია მრავალდარგო მამკისმადრი ნაყოფიერებით.

რამაზ სურმანიძე დაიბადა 1933 წელს შუახევის რაიონის სოფ. ქალაში. დაწყებითი და არასრული რვაწლიანი საშუალო განათლება მიიღო ქალაქს 8 წლიან სკოლაში და სწავლა განაგრძო ბათუმის სამედიცინო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. სამედიცინო ინსტიტუტის სრული კურსის დამთავრების შემდეგ ბატონი რამაზ სურმანიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა შუახევის რაიონის მთავარ ექიმად. ბათუმის სახალხო დემუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრადცვის განყოფილების გამგედ, აჭარის კურორტების მართვის საბჭოს თავმჯდომარედ. რვა წლის მანძილზე ეკავა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრის პოსტი.

რამაზ სურმანიძე არჩეული იყო დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატად და ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ქარტიას.

რამაზ სურმანიძის სამწერლო შემოქმედება დაიწყო XX საუკუნის 60-იანი წლებიდან. მისი პირველი მოთხრობა გამოქვეყნდა 1967 წელს. ეს იყო „გულის სახსოვარი“, რომელიც იმავე წელს საკავშირო პრემიით აღინიშნა. შემდგომში ამას მოჰყვა მოთხრობების ციკლი „პაპაჩემის ხანჯალი“, „ორმოცდაერთი, „მამიდა“, „სხვების უნათებდე“, „სახეზე ღიმილი დარჩა“. 1983 წელს მწერალმა გამოაქვეყნა დღესაც პოპულარული „მურღულის ქვა“.

რამაზ სურმანიძის ბიოგრაფიის ნაწილია ავადმოსავლობა პოლიტიკური რეპრესიები, რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებში ხორციელდებოდა. დაპატიმრეს მისი მამა და გადასახლეს. 50-იან წლებში ისევ დაპატიმრეს და მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ის ადრეც ნასამართლევი იყო. სასჯებით ბუნებრივია, რომ რამაზ სურმანიძის პირველ შემოქმედებებში მუშაობა მთავარი თემა იქნებოდა 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიები. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია მწერლის პოზიცია. მის მოთხრობებსა და რომანებში, რომლებიც რეპრესიების თემაზეა შექმნილი, ყოველთვის ავი სჯავანის კეთილი. ხოლო ეს უსამართლო ბრძოლა საბოლოოდ კლასიკურ ტრადიციადამდ არ მიდის და მკითხველს არ ტოვებს საბოლოოდ ბოროტზე კეთილის გამარჯვების იმედს.

რამაზ სურმანიძის სამწერლო მოღვაწეობას კიდევ აქვს ერთი საინტერესო მხარე. ის პოლიტიკურ რეპრესიებზე, უკანონოებაზე პირიქების სამოქალაქო უფლებების ფეხქვეშ გათვლის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში მტკიცედ დგას ევროპული მწერლობის ტრადიციებზე და პრინციპულ შეფასებას აძლევს მისთვის და მკითხველისათვის შემზარავ ფაქტებს. მისი მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი საკუთარი ბედუკუღმართი მდგომარეობის მიუხედავად მაინც პოულობს სულიერ ძალებს და ყურადღებას ამახვილებს პრობლემაზე – რა არის სამშობლო. მისი შეხედულებით ესაა სივრცე, სადაც ბატონობს კანონის უზენაესობა და დაცულია პიროვნების თავისუფლება. მაგრამ იმავე სივრცეში, თუ არ არის მართლმსაჯულება და ფეხქვეშ ითვლება კანონის უზენაესობა – ის ბუნება და არა მამული.

ასევე მაღალ მატერიალზე-პიროვნების თავისუფლებად, კანონიერ მართლმსაჯულებაზე ევროპულად აზროვნებს მწერალი რომანში „ემრულა“. მწერალი მოშობდა მამის სიყვარულზე მაღლა აყენებს მამა-მოქალაქის ღირსებებს. ჭაბუკი ემრულა მამის რაზმს ახლავს სოფელში გადასახლების აკრეფისათვის

ვის და შენიშნავს, რომ მამა ცუდად, შუებრალებლად ექცევა თანასოფლელებს, ძალმომრობას. ყმანველი შტამარნებულად იმოქმედება გლახკაც ხახუტას ოჯახში ქიბარ –ალას საქციელმა: „ქიბარ –ალამ ხახუტას მისალმებაც არ აცალა“.

რალას დეახარ, შენზე ათი ყურუმი რომ არის გადასახდელი, არ იცი? – მე – დაიბნა ხახუტა, ნუხელის სახლზე დამეცნენ, ბაღების სარჩენი რაც მქონდა, წამართვეს... სალიანის გადასახადი მუხტარს მივეცი და ახლა რალას მთხვოვ, ქიბარ –ალავ?

– არ ვიცი შენი მუხტარი და მუღირი... ამ ხალხს, –ყანდარმებზე მოუთითა, –რჩენა არ უნდა? ესენი რომ არა, ყმანლები ტყავს გაგაძრობენ, შე უბედურო! – და წელში მიხრილ ხახუტას ბეჭირაღამ მათრახი გადაუჭირა, ძირს დასცა, – ახლავე გამოიტანე ფული, თვარა...“ ამ აბის შემყურე ხახუტას ცოლი სახიდან გამოვიდა, მინაზე დავარდნილ ქმარს შეხედა და ძუ ვეფხვივით გაექანა მომხდურისაკენ... „ტყავიც გაგვძრა და ნაცრდაც ვიქცეთი, ყანაღელი იყვენო, მაგრამ შენზე უარესი, უღმერთო და მძარცველი ამ დუნიაზე არავინ დადის! ასე იცავთ თქვენ ხალხს?“

ამ მიმე და სასტიკმა სურათმა დამთრგუნველად იმოქმედა ემრულაზე. იგი აივსო პროტესტის სულისკვეთებით და გამოეყო მამის რაზმს. შინ დაბრუნებული ემრულა ასეთ

მრავალმხრივი ინტერესების შექმნა

დილოგს მართავს დედასთან: „მამაჩემს მტეს არ წაყვებენ, ნენი. ვისთანაც მივედი, ყველა გაცნყველის და გვაგინებს. წუხელის ხახუტა მახაჭაძის სახლს ფირალევი დასცემიან, რაც ხელში მოყვით, ყვე ემრული წაუღლით. ქალისათვის ბეჭედებთან ერთად კინალამ თითიც წაუგლეჯიათ. დახმარების მაგიერად მამამ ხახუტას მათრახი გადაკრა... ესა ხალხის დაცვა?“ ემრულას პროტესტი უსამართლობის გამო მიმართული აღმოჩნდა საკუთარი მამის წინააღმდეგ. აი, ეს არის კანონის რეალური შეგრძნება, რასაც კანონის უზენაესობის დაცვის ევროპული ტრადიცია ეწოდება. კიდევ ერთი საგულსხმო მოტივითაა რამაზ სურმანიძის „ემრულა“ საინტერესო და საყურადღებო.

მწერალი თვლის, რომ უსამართლობის დაცვობა და ბრძოლა სამართლიანობის დამკვიდრებისათვის ბუნებრივად მომდინარეობს მშრომელი ხალხის წიაღიდან. ემრულას დედა შვილის მონათხრობის საფუძველზე პროტესტით განწყობა მეუღლე ქიბარისადმი და შვილს მიმართა: „...რაღ უნდა მამაშენს ასეთი ფული, განა ჩვენს თავს ვერ ვირჩენთ? ... შენ აღარ წაყვე ქიბარს“. მაგრამ ამით არ მთავრდება ქიბარის განსჯა. ემრულას გადაწყვეტილება მამას არ გააყვეს სოფლებში გადასახლების აკრეფისათვის გადაიზარდა უფრო ფართო მასშტაბის საპროტესტო გადაწყვეტილებაში – დაიცავს სოფლის მოსახლეობა ფირალევის თავდასხმებისაგან „აღარ წაყვებენ, მაგრამ მე ჩემი თავგებები ყისარადარი. ერთი ფირალეც ვერ გაივსოს ჩვენი საწყალი გლეხის ეზო –კარში. ბოჭია ვინმემ აწყენინოს ჩემს მეზობელს. ზოიკით შევაკვდები.“

ქართულმა სულიერი ერთობის დიდ თემას ეძღვნება რამაზ სურმანიძის ახალი რომანი „ლაზეთის ლეგენდა“, რომელშიც დიდი ადგილი უჭირავს ლაზეთის და აჭარის ქრისტიანული წარსულის თემაზე. მწერალი ღრმად გვარწმუნებს იმაში რომ, ქრისტიანულ სარწმუნოებას, რომელიც მამა-პაპას საკუთარი სიცოცხლის ფასად დაუცავს, თანამედროვის ანგარებთან ხელი ვერ შეეხება. მწერლის ამ

კონცეფციას მთლიანად ამართლებს ჩვენი სინაგვილე. რამაზ სურმანიძე ფრიდონ ხალვაშთან ერთად ერთ-ერთი პირველი მოღვაწეა, ვინც იმ დონემდე აამაღლა საკუთარ თავში უკვდავება წინაპართა სარწმუნოებისა, რომ არსულია საქართველოს კათალიკოს –პატრიარქის, უწინაშესისა და უწეტარესის ილია II კურთხევით დაუბრუნდნენ ქრისტეს ნათელს. ახალი აჭარიდან ილია მეორის პირველი ნათლულები ფრიდონ ხალვაში და რამაზ სურმანიძე ბრძანდებიან.

ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად არის ცნობილი აკად. ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრება: საქართველოს ისტორია ვერ ჩაითვლება ბოლომდე შესწავლილად, თუ კარგად არ იქნება შესწავლილი საქართველოს ქალაქების, გვარების, ქუჩების ისტორია. პროფ. რამაზ სურმანიძე ამ კონცეფციის რეალურად გამტარებელია. ის ნაყოფიერად იკვლევს აჭარაში გავრცელებული გვარების ისტორიას. საკმარისია დავასახელოთ მონოგრაფია „მელოქიმელები“. რამაზ სურმანიძის ამ საფუძვლიანი გამოკვლევით დასტურდება, რომ თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პირველ რექტორის პროფ. პეტრე მელიქიშვილის საგვარეულო მომდინარეობს ზემოაჭარის სოფელ ყანივრიდან.

მდიდარ ისტორიულ მასალებზე დაფუძნებული მონოგრაფია „თავადაზნაურობა და

ცხოვრება სიცოცხლის დარჩენილ ნუთებშიც სწორედ ნამდვილი გმირობაა, აი, ასეთ გმირს ხატავს მწერალი რამაზ სურმანიძე. დიდ ციხეებში სხვადასხვა საკნებია პატიმრებს ერთმანეთს შორის დაკავშირებისათვის ორიგინალური „ტელეფონები“ აქვთ. კედლებზე კაკუნით ცალ-ცალკე საუბრებიან ერთმანეთს შორის დიალოგს მართავენ პატიმრები.

–რომელი ხარ, მითხარი, –გაუმეორა ღურმიშხანმა.

–მეიმედ ვარ, აბაშიძე. იყო პასუხი.

–მადლობა ღმერთს, მეიმედ-ბეგ, აქ აღარ მეგონა.

–ჯიუჯიერობით აქა ვარ. მაგრამ... ათიოდე წუთის შემდეგ კვლავ გაისმა კაკუნი.

ღურმიშხანი იატაკზე გაიშოტა და ყური „ტელეფონს“ მიადო.

–შეამოწმეს, ვითომ რალაც მკითხეს, მაგრამ აღბათ, მალე გამიყვანენ.

–შეიძლება არაფერიც არ მოხდეს, მეიმედ-ბეგ და ისევ გადაგვასახლონ.

–არა, ჩემო ღურმიშხან, უკვე ვგრძნობ და კარგად ვიცი, რა მოხდება. შეიძლება თბილისში ჩამიყვანონ, მაგრამ იქედან, აღბათ უკან აღარ მომბარუნებენ...

ღურმიშხანმა ყური მოაშორა კედელს, რა უთხრას... რით ანუგეგმოს... ამ ათასგვარი დაპატიმრება და ტანჯვა-გამოვლილ კაცს რო-

გორ შეუნარჩუნებია ჩვეული სიმტკიცე, ისეთივე გულადი და მამაცია“ –ფიქრობდა პატიმარი.

რამაზ სურმანიძემ დიდი ამაგი დასდო ბათუმის ისტორიის შესწავლას. მან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო და გამოცვა ნ.მ. დაკიშვილის და ჯიფორდ პალკრევის ნაშრომები „ბათუმი“, და „აჭარა, ლაზეთი“.

ბათუმის ისტორიის შესწავლას ემსახურება რამაზ სურმანიძის საუკეთესო მონოგრაფიები ბათუმის ქალაქისათვის მოღვაწე სასაბჭოთაო, შენიშვნები და ბათუმის ქალაქისათვის ივანე ანდრონიკაშვილის მოღვაწეობის შესახებ.

თვალსაწივს რამაზ სურმანიძის დამსახურება ბათუმის ისტორიის შესწავლაში. ამ დარგში გამოიყოფა სამი მი-

მართულება: ბათუმის შესახებ ბიბლიოგრაფიული მოხიბებით დაცული ისტორიული ნაშრომების მოძიება, თარგმნა და გამოცემა შენიშვნებითა და ისტორიული მიმოხილვებით (ნ.მ. დაკიშვილი „ბათუმი“, ალ. ფრენკელი „მურუსულა და ბათუმის შესახებ ნარკვევები (გამოცვა აზოზ ახველდიანთან ერთად). 2) ციკლი „ბათუმის ქალაქის თავი“ ციკლით ბათუმის პირველი ქალაქის თავი „ლუკა ასათიანი“ ბათუმის ქალაქისათვის ივანე ანდრონიკაშვილი. 3) პუბლიცისტიკა. რამაზ სურმანიძემ ხანგრძლივად ამოუკრა სურმანიძის ნაშრომები „ნეროლები“, აბდულ მიქელაძის „ნეროლები“, ივანე ჯავახიის „ნეროლები“.

პროფ. რამაზ სურმანიძემ დიდი ამაგი დასდო გენერალ-ლეიტენანტის გიორგი ყაზბეგის დამსახურების შესწავლას და მისი ადგილის განსაზღვრას ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში. რამაზ სურმანიძის თარგმანით გაეცნო ქართველი მკითხველი გიორგი ყაზბეგის ეთნოგრაფიულ ნაშრომს „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ (1959 წ.). 2008 წელს გამოვიდა რამაზ სურმანიძის ერთ-ერთი

საუკეთესო ნაშრომი „გიორგი ყაზბეგის მოგზაურობისას ტბეთში მოპოვებული ეკოქმენტი“. რამაზ სურმანიძის კალამს ეკუთვნის გიორგი ყაზბეგის შესახებ ბიოგრაფიულ-ისტორიული გამოკვლევა „გენერალ-ლეიტენანტი თერგდალელულა თაობიდან“ (2006 წ.).

მწერლისა და პროფესორის შემოქმედებით და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნაყოფიერი შედეგების შეფასების დროს საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში უცხო ძალისა და რელიგიის ბატონობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ვერ ჩამოყალიბდა არაქართული კულტურა. ხოლო როცა დიდი ისტორიისათვის მოიპოვა ხალხმა, მასობრივი ხასიათი მიეცა ნატაქრალეობის აღდგენისა და ახალი ტაძრების აშენებას. მარტო ხულოს სამი მოციქულის ტაძარი რად ღირს, რომელიც ახლანდეს ეკურთხა საბოლოოდ და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე მოიცვალეს ვერ იტყვია (ღამის თევით).

რამაზ სურმანიძის პროზაული ნაწარმოები განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აჭარაში გადარჩენილი ქართველი სიტყვის (ფრიდონ ხალვაში) სიმდიდრით. მწერლის ინდივიდუალური ნიჭიც ხომ, პირველ რიგში, სიტყვასთან ჭიდილში ვლინდება. ცალკეულ სიტყვას ძალას და სიცოცხლეს წინადადებაში თავისი ადგილის სწორად შერჩევა ანიჭებს. მწერალმა რამაზ სურმანიძემ დაამკვიდრა მწერლობაში „გულქართული კაცი“ („ემრულა“). მასვე ეკუთვნის ასევე საუკეთესო სიტყვა „წინაი კაცი“. ორგანიზატორული ნიჭითა და ბრძნული რჩევა-დარიგებების ნიჭით გამოირჩეულ კაცზე იტყვიან „მეთაური“, „ხელმძღვანელი“ რამაზ სურმანიძის რომანებშია გამოხატული, პერსონაჟები ასეთ ადამიანებს მოიხსენიებდნენ როგორც „წინაი კაცი“.

ამ სოფელში წინაი კაცი ვინ გყავთ?”

რამაზ სურმანიძის პროზის დამახასიათებელი ღირსებაა აგრეთვე ხალხური სიბრძნით და შერჩეული აფორისტული გამოთქმები: „სიცოცხლე და პატიოსნება მე ცალ-ცალკე არ ვიცი“, „ძუნწი კაცის ჯამში ლუკმა არ დასველება“.

მწერალი ხშირად მიმართავს აჭარაში გავრცელებულ იდიომებსა და ხატოვან გამოთქმებს, რომლებიც სხვა ენაზე არ ითარგმნება: „წკნელს რას მიგრისხავ“ (პასუხს რატომ მიგვიანებ?)

ცალკე შესწავლის საგანია ზნეობრივი აღზრდის ხალხური ტრადიციები აჭარაში. ტრადიციების ფართო განფენილობა იკითხება მწერალ რამაზ სურმანიძის შემოქმედებაში. თავაზიანობის საუკეთესო ნიმუშად გვესახება ასეთი დიალოგი რომანიდან „ემრულა“.

„ – საიდან ბრძანდები? – შეეკითხა მას პინძელი.

ბრძანება თქვენი, იზმირიდან ვარ“.

რამაზ სურმანიძის სამწერლო, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის დაახლოებმა ერთ საგვარეულო ნაშრომში შეუძლებელია. მისი სახით ჩვენს შორის დადის ფუტკარივით დაუღალავი მშრომელი, მრავალმხრივი ინტერესებით მოღვაწე პიროვნება, რომელიც ჩვენს შორის იმითაც გამოირჩევა, რომ კარგად იცის ასაკის დაფასება. 80 წლის რამაზ სურმანიძის ნაყოფიერებისა და ქვეყნის გათვალისწინებით ნამდვილად ვერ ჩათვლით 80 წლის მოხუცად. მაგრამ შეიძლება ვერსად გაეცვივით. ამიტომ ხშირად უწყობს საიუბილეო შეხვედრებს და მიიჩნევენ იმის საუკეთესო ნიმუშად, როგორ შეიძლება 80 წლის ასაკშიც შეინარჩუნოს ადამიანმა ინტელექტის ძალა და მხნეობა.

რამაზ სურმანიძის ინტელექტუალობის სიდიდით და საქმიანობაში მხნეობა, როგორც გიორგი მურწულიე იტყობდა, „განსაცვიფრებელი ფრიადი“.

გიორგი (იური) პილიპიშვილი

(დასაწყისი მე-9 გვერდზე)

თუ შორეულ ისტორიას, დედასაქართველოსთან მისი დაბრუნების პერიპეტებს, ყველა იმ გამოჩენილი ადამიანის ცხოვრების ფეხტლებს, რომლებიც რალაცით დაკავშირებულია არიან აჭარასთან, ბათუმთან... მან შეადგინა კომენტარები, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სერგეი მესხის წიგნს „ნერილები აჭარაზე“.

წმომწველავანია მისი, „დაუვიწყარი სახეები“. მწერალმა არქივებში მიაკვლია ნაკლებად ცნობილ ან სულაც უცნობ მასალებს. მან 600-მდე პიროვნების გვარი, ვინაობა და ადგილი. რამაზ სურმანიძის თავდადება, მონაღმება რომ არა, ბევრი მათგანის სახელი და საქმე, ღვაწლი დღესაც დავიწყების მტერი იქნებოდა დაფარული. საკმარისია, გავიხსენოთ აბდულ მიქელაძის, „ნერილები აჭარიდან“ ან ივანე ჯავახიის, „ნერილები შავშეთიდან“. რამაზ სურმანიძემ დიდი შრომა გასწია ამ კორექსორდენციების გამოსავლენად, შესასწავლად და მეცნიერული აპარატურით აღსაჭურვად. ისინი მოიცავენ ოსმალთა უღლისგან გათავისუფლებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ორი სოფლის – ქედისა და ბორჩხის – ყოფა-ცხოვრებას მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან.

კვლევის უნარი, ღრმა ანალიტიკური აზროვნება, ინტუიცია გამოარჩევს რამაზ სურმანიძეს. რად ღირს თუნდაც ცელიმ ხიმშიაშვილის დაღუპვის რეალური გარემოებების

„ლაბაზი ფიქრის მწერალი“

მიგნება! ფაქტების შეჯერების, გაანალიზების მეშვეობით ბატონმა რამაზმა ცხადყო, რომ სელიმის დაღუპვა არა მოლაღატის ქმედების შედეგი, არამედ მისი შეგნებული ნაბიჯი იყო, რათა სოფლის მოსახლეობის აწიოკება აეცილებინა თავიდან. ეს იყო პატრიოტი მამულშვილის თავდადების მაგალითი. ასევე ისტორიული მასალების საფუძვლიანი კვლევის შედეგად მოაცილა ბატონმა რამაზმა საზარელი „შვილისმკვლელის“ დამლა შერიგ-ბეგ ხიმშიაშვილს, დაადგინა რა, რომ მურთაზი ორი დიდი ვეშაპის – რუსეთისა და თურქეთის ინტრიგათა მსხვერპლი გახდა.

- ბატონი რამაზი მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწევა, მან თარგმნა:
 - 1969 – ივანე კიჩაკოვის – „თოვლის კაცი“;
 - 1984 – ანტონ ჩეხოვის – „მწვანე კონცხი“;
 - 2011 – ნიკოლოზ დაკიშვილის – „ბათუმი“;
 - 2012 – თეოდორ უსპენსკის – „ძველი ციხე ჭოროხის შესართავთან“;
 - 1995 – გიორგი ყაზბეგის „სამი თვე თურქეთის საქართველოში“.
- ეს უკანასკნელი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ოსმალთა ბატონობის ხანის სამხ-

- რეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარა-ტაო-კლარჯეთის ისტორიის შესახებ ქართულ ენაზე პირველწყაროები მცირეა.
- რამაზ სურმანიძეს აქვს საინტერესო ისტორიული-გენეალოგიური ნარკვევები „ხიმშიაშვილები“
- „ანდრონიკაშვილები“
- „მეღვაშიძეები“
- „მელიქიშვილები“
- „ასათიანები“
- „ბეჟანიძეები“
- „სურმანიძეები“
- „პეტრეები“
- „მთავანაძეები“
- „ჩარკიანები“
- „მიქელაძეები“
- მხოლოდ ერთ ნაშრომს გავიხსენებ ამ გრძელ ჩამონათვალიდან: „მელიქიშვილებს“, რომელშიც რამაზ სურმანიძემ დაადგინა დიდი ქართველი მეცნიერისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის – პეტრე მელიქიშვილის – აჭარული ძირები.
- ფაქტობრივად, ბატონმა რამაზმა შექმნა ენციკლოპედიური ხასიათის შრომები აჭარის, და არა მარტო მისი, შორეული თუ ახლო წარსულიდან. მის ნივთებში მოცემულია

- 1000-მდე ადამიანის ბიოგრაფიის დღემდე უცნობი მასალები, ლეგენდარული მედვიდან და ავიცენადან თანამედროვე სახალხო მკურნალთამდე, დავით აღმაშენებლიდან ემრულა მალაყმაძემდე, აბუქარისაქ ტბელიდან სახალხო მთქმელ რეჯებ მუჟანაძემდე, პუშკინიდან ეცენინამდე, ხიმშიაშვილებიდან მელიქიშვილებამდე...მარკოზ აჭარელიდან, თევდორე მღვდელიდან – მეიმედ აბაშიძემდე. როგორც ვხედავთ, ტყუილად არ უწოდა ფრიდონ ხალვაშმა რამაზ სურმანიძეს „წარსულის მკურნალი“.
- უაღრესად მრავალფეროვანი და აქტუალურია რამაზ სურმანიძის პუბლიცისტიკის პრობლემატიკა. მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ:
 - დემოგრაფიული პრობლემები: „ოცი დღის 230 შვილი“;
 - „საჭიროა მეტი ყურადღება“;
 - „გულმონყალეობა ჭეშმარიტი და მოჩვენებითი“;
 - მოძველებული ტრადიციები: „თავი დამიკაროთ, ქალბატონო“;
 - „მეზობელი“;
 - „დრო“;
 - ეკოლოგიის პრობლემები: „მკურნალი აჭარის წიაღიდან“;

- „დავიცავთ ტყე – ჩვენი ჯანმრთელობის წყარო“;
- „ბუნებრივი რესურსები და ჩვენი ეკონომიკა“.
- ბატონი რამაზი ქართველი მწერლების, მეცნიერების დიდი მეგობარია. ისინი მას უძღვნიან სიყვარულით გამთბარ სტრიქონებს, აი, ისეთს, როგორიც აწ უკვე მარადიულ საქართველოში მყოფ კოლორიტულ ბათუმელ მწერალ ნუგზარ ჯავარიძეს ეკუთვნის:
 - „შენთან სოფელში, შენს ქალაში, ვიყავ თამადა,
 - ცოლიკაური ტარცალებდა დასტურლამაში,
 - ჭბონის, ფეხშიძეთს, იმ საღამოს ტოლი არ ჰყავდა,
 - მისის მარწყვებს ამნიფებდა ქარი კალაში.
 - შენ, ჩემო რამაზ, პროფესიით ხარ პროფესორი,
 - მონადენებით მოვხანყე და ხასი ჭვანელი,
 - შენთვის ჭოროხიც, რიონიც და თეთრი იორიც,
 - საქართველოა, სალოცავი ძვირფას მთა-ველით.“
- მამ, კიდევ დიდხანს ილოკეთ და იღვანეთ თქვენი ძვირფასი საქართველოსთვის, ბატონო რამაზ! იმზეგრძელები, მრავალუმიერ!



საქართველოს

დამოუკიდებლობის გამოცხადება

(დახაწვისი მე-3 გვერდზე)

ხელმწიფოებთან მოავარებას, რაც უნდა გახდეს ჩვენი შეხვედრის ლაიტმოტივი – განაცხადა ა. ჩხენკელმა.

ა. ჩხენკელის ეს განცხადება არ იყო პოლიტიკურად მყარად არგუმენტირებული, რაკი ამიერკავკასიის ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოცხადებული დამოუკიდებლობა და ბრესტის კონფერენციამდეც ბოლშევიკები ერთიანი რუსეთის სახელით გამოდიოდნენ. ბრესტის შეთანხმების პირობების გადასინჯვისათვის მხოლოდ ბოლშევიკებისადმი ანტიპათია არ კმარადა, რის გამოც დელეგაცია სერიოზულ პრობლემებს შეეჩეხა საკუთარი პოზიციის დაცვისას. თურქულმა მხარემ დელეგატებს ნათლად გააგებინა, რომ თუკი ისინი არ ცნობდნენ ბოლშევიკებს, მაშინ მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო კონფერენციაში, როგორც ეს გააკეთა უკრაინის რადამ, რომელიც ასევე არ ცნობდა რუსეთის ბოლშევიკურ ხელისუფლებას.

ადრე დაშვებული შეცდომები დამოკლეს მახვილივით აღიმართა ამიერკავკასიის დელეგაციის წინაშე, რაც თურქებს საშუალებას აძლევდა კონფერენცია მათთვის სასურველი გზით წარემართათ. გამოვლინდა მათი ნამდვილი განზრახვა: თურქული დელეგაციის ხელმძღვანელის რაუფ ბეის განცხადებით, ისინი ტრაპიზონში ჩამოვიდნენ არა ბრესტის ხელშეკრულების გადასასინჯად, არამედ მოლაპარაკებებზე ეკონომიკური ურთიერთობების საფუძვლების მოსამზადებლად და ცალკეული დეტალების გასარკვევად, რაც არ იყო ასახული ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაში.

ტრაპიზონის მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. თურქეთის მხარე ურთიერთობების საფუძვლად ბრესტის შეთანხმებას მიიჩნევდა და თვლიდა, რომ ბათუმის, ყარსისა და არდაგანის საკითხი განხილვას საერთოდ არ ექვემდებარებოდა, რაკი ოსმალეთს ჰქონდა მოპოვებული ამ ტერიტორიების მიერთების უფლება.

ამკარა გახდა, რომ ამიერკავკასია თავისი ტერიტორიული მთლიანობის საკითხს ვერ გადაჭრიდა დადებითად, ამიტომაც შემუშავდა გეგმა ცალკეული ტერიტორიების დათმობისა, კერძოდ ყარსის ოლქის ყაგიზმანის რაიონის და არდაგანის ოლქის ოლთისის რაიონისა. 23 მარტს ამიერკავკასიის დელეგაციამ აღნიშნული ვარიანტი შესთავაზა თურქულ მხარეს, რომელმაც შემორანდუმი გასაცნობად სტამბოლში გადააგზავნა, რითაც დასრულდა ოფიციალური შეხვედრები.

თურქული ისტორიოგრაფიის მიხედვით, ტრაპიზონის კონფერენციაზე ოსმალეთის დელეგაციის მთავარი მიზანი ამიერკავკასიასთან მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება იყო, თუმცა მათი უფლებები შეზღუდული იყო; ამ და სხვა მიზეზების გამოც მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა და დელეგაცია იძულებული შეიქმნა სტამბოლს დაბრუნებულიყო.

მალე მოლაპარაკებათა ახალი რაუნდი 11 მაისს გაგრძელდა ბათუმში, რომელიც იმ დროისათვის უკვე ოკუპირებული იყო ოსმალთა მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციები მიმდინარეობდა თურქეთის სამხედრო ექსპანსიის ფონზე, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა არსებულ მდგომარეობას. ამიერკავკასიის დელეგაცია ცდილობდა ცალკეული დათმობებით ოსმალთა აგრესიის შეჩერებას. ამიერკავკასიის დელეგაცია ითხოვდა მოლაპარაკებების საფუძვლად ბრესტის ზავი ყოფილიყო (ის ზავი, რომელსაც თავის დროზე ბოიკოტი გამოუცხადეს), თუმცა თურქულ მხარეს საკითხის ასეთი დაყენება არ აწყობდა. ბათუმის კონფერენციაზე თურქულ-

მა მხარემ წარმოადგინა ხელშეკრულების პროექტი, რომელსაც ჰქონდა ანექსიონისტური ხასიათი. პროექტით საქართველო კარგავდა ყველა იმ ტერიტორიას, რომელიც დაიბრუნა მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად. ეს იყო ტერიტორია არდაგანისა და ბათუმის ოლქების, ასევე ახალციხე და ახალქალაქი, რაც არღვევდა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეს. თურქული მხარე პროექტს საბოლოო ვარიანტად მიიჩნევდა.

25 მაისს ამიერკავკასიის დელეგაციამ მიიღო ულტიმატუმი, რომლის მიხედვით მათ 72 საათის განმავლობაში უნდა შეესრულებინათ ყველა მოთხოვნა, რომელთა შორის მთავარი იყო საზღვრების შეცვლა თურქეთის სასარგებლოდ.

ქართული პოლიტიკური ელიტისათვის ერთმნიშვნელოვნად დაისვა საკითხი -გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა სახელმწიფოებრივ და ტერიტორიულ საკითხებში გერმანელთა მხარდაჭერის იმედით და თავიდან აეცილებინათ საქართველოს ძირძველი ისტორიული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვის საფრთხე.

სამწუხაროდ, იმ პერიოდში საქართველოს არ შეეძლო ოსმალეთის არმიის შემოტევის შეჩერება მხოლოდ საკუთარი სამხედრო ძალით. გასაზიარებელია პროფესორ ვახტანგ გურულის აზრი, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მომხდარიყო ოსმალეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაწყებულ საომარ მოქმედებამდე. მართალია, ოსმალეთს შეეძლო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც განეხორციელებინა სამხედრო ექსპანსია, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი დაიპყრობდა ტერიტორიებს ნაწილობრივ ან კიდევ სრულადაც, ოღონდ უკვე დამოუკიდებელ ქვეყანას. ამ შემთხვევაში საქართველოს რჩებოდა რეალური შანსი გაეგრძელებინა ბრძოლა საერთაშორისო ასპარეზზე დაკარგულის დაბრუნებისათვის...

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მხარი დაუჭირა იმყამად წარმოდგენილმა ყველა პოლიტიკურმა ძალამ. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ზურაბ ავალიშვილი ასე აფასებდა ამ დიდ მოვლენას: „ამ განსაკუთრებულ წუთში როგორ არ გვეხმინა ისტორიული სტიქიების გუგუნე, როგორ არ ყურადგველო იმათი ხმა, ვინც დიდი ხანია აღარ არის... აი, დამოუკიდებლობამ კარზე მოაკაკუნა და როგორ არ შევეგებოთ ალტაცებით! თუ ეს წუთი გავუშვით, რა პასუხი გავცემთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა!..“

ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პირველივე პუნქტში ჩაინერა ის, რაც ყველა ქართველი მამულიშვილის დიდი ხნის ოცნება იყო:

„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.“

26 მაისი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თუკი არსებობს ეროვნული იუბილე, სულსკვეთება და მტკიცე გადანწყვეტილება, შესაძლებელია ნებისმიერი ძალადობის, უცხო სახელმწიფოთა მხრიდან მრავალწლიანი აგრესიისა და ოკუპაციის დაძლევა და სახელმწიფოებრივი ერთიანობის, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება-განმტკიცება!

ნუგზარ ზოსიძე,
ისტორიის მეცნიერებათა
კანდიდატი
ირაკლი ბარამიძე,
ისტორიის მეცნიერებათა
კანდიდატი

საფინანსო-საბიუჯეტო ფელაქალიზმი - კრიზისიდან გამოსვლის უმოქლესი გზა?!

საქართველო უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის მქონე ქვეყანაა, რომელსაც ორიათასწლოვანი დამწერლობა და ლიტერატურა, სულიერი და მატერიალური კულტურის მრავალსაუკუნოვანი ძეგლი გააჩნია. კულტურული განვითარების ბაზისი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერე გახლავდა.

ილია წერდა: „საქართველო დღედაღამ იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველ მხრიდან მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ორი ათასი წელი ებრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა ... ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰქვებავდა ხალხს, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრას? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო – და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?... ამის პასუხი ჩვენს ეკონომიკურ აგებულებასა და წყო-

და მოსახლეობის სიღატაკე.

ყოველივე ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოში პროგრესული გარდაქმნების სოციალური საზღაური ძალიან მაღალი აღმოჩნდა: დამოუკიდებლობის მოპოვება, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა სანარმოო-ტექნოლოგიური პოტენციალის დიდი ნაწილისა და მოსახლეობის მასობრივი გაღატაკების, უღარიბესი ქვეყნების ჯგუფში გადაადგილების სანაცვლოდ მოხდა. მართალია, ბოლო ხანებში პოზიტიური ძვრები შეიმჩნევა, მაგრამ „ტაძრამდე“ ჯერ კიდევ ძალზე გრძელი გზა გასასვლელი...

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქვეყანა ამოვიდეს არსებული მდგომარეობიდან?... რით უნდა დავინწყოთ?...

მდგომარეობიდან გამოსვლის არა ერთი გზა და საშუალება არსებობს, მაგრამ მთავარი გზა ხსნისა მანც ეკონომიკაა, მისი შექმნა და გამართული ფუნქციონირე-



საქართველო ეკონომიკური განვითარების გზაჯვარედინზე

ბაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიკური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდან ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძლიოდა ამოდენა ვაი-ვაგლახთა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში, აი, საგანი, ღირს შესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევადა. ეს საგანი რომ თვალწინ ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელ მემისტორებს, ამ საგანზე რომ დუქველი პასუხი მოგვეცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწყმოსაც და მომავალსაც, გზას გაუნათებდა...“ ამ ვრცელ ამონარიდში სრულყოფილად აისახა ეკონომიკის როლი ქვეყნის კულტურული ცხოვრების ფორმირებასა და განვითარებაში.

ეს ლიტყვები და აზრები ისე არასიტყვები ესადაგებოდა და ესაჭიროებოდა საქართველოს, მის ხალხს, როგორც დღეს ... უშდომესი ფინანსური, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კრიზისის პერიოდში.

დღეს საქართველო თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს ეტაპზე იმყოფება, მიმართულების ძიებაშია. საქართველოს აღმშენებლობის პროცესი რთულად და წინააღმდეგობრივად ვითარდება, მაშინ, როდესაც ის თავისი ბუნებრივი რესურსებით, ხელსაყრელი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობით და სხვა უამრავი შესაძლებლობით ერთ-ერთი მონინავე უნდა იყოს მსოფლიოში. XXI საუკუნეს, საქართველო როგორც პოლიტიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფო, ადამიანის თავისუფლების კონსტიტუციური აღიარებით, ეკონომიკის ლიბერალიზაციის საკმაოდ მაღალი დონით, მეურნეობრიობის ყველა სფეროში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლით შეხვდა. ამასთანავე თვალშისაცემია საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის გაღრმავება, კრიმინალური და არალეგალური ეკონომიკა, კორუფცია, კონკურენტული ბაზრების არსებობა, ყოველწლიური ბიუჯეტის დეფიციტი, არამყარი ეკონომიკური ზრდა, მასშტაბური საგარეო ვალი

ბაა, რაც წარმოადგენს ყველა მატერიალური, სულიერი და სხვა გადუნეველტი პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას, ერის მატერიალური და სულიერი აღორძინების მთავარ ქვაკუთხედს. დიდი ილია საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებასა და მისი ცივილიზებული გზით განვითარების მთავარ როლს სწორედ ეკონომიკას აკუთვნებდა, ის წერდა: „დღეს თვითოეული ჩვენი თავიანთი გრძობს, რომ აქამომდე მივიწყებულ ეკონომიკურ მხარეს ჩვენი ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის, რომ ეკონომიკური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენი გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯოთ და ვისამავლოთ.“ Dდა რომ ამისათვის მთავარია ქვეყანას სათანადო „ეკონომიკური კლიმატი“ გააჩნდეს.

მედით ეროვნული მეურნეობის მთელი პოტენციალი, რამეთუ მძლავრი და მაღალეფექტური ეკონომიკის შექმნა მოითხოვს კოლოსალური ფინანსური რესურსების მობილიზაციასა და ხარჯვას, რისთვისაც აუცილებელია სათანადო საბიუჯეტო სისტემის ამოქმედება.

ცივილიზებულ ქვეყნებში ფინანსური სახსრების მობილიზაცია და ხარჯვა მიმდინარეობს პრინციპით: მობილიზებული იქნას იმდენი ფინანსური რესურსი, რამდენიც საჭიროა, დახარჯოს იმდენი, რამდენიც აუცილებელია. კაცობრიობამ თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში შექმნა ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და ხარჯვის ქმედოთუნარიანი სისტემა, რომელიც დღესათვის ცნობილია საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმის სახელწოდებით. იგი გულისხმობს ფინანსური სახსრების მობილიზაციასა და ხარჯვის უფლებამოვალეობების განაწილებას ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებს შორის. საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი მოქმედებს როგორც ფედერალურ, ისე უნიტარულ ქვეყნებში.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ფედერალიზმის, მათ შორის საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები გააჩნია. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ერთიანი საქართველოს პირველმა მეფემ ფარნავაზმა (ქრ. შობამდე IV-III სს.) ქვეყნის უკეთ მართვისათვის ქვეყანა დაყო სამთავროდ, გაუნაწილა მათ სახელმწიფოებრივი მართვის უფლებები და მოვალეობები და შემოიღო ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და ხარჯვის ცენტრალური და ადგილობრივი დონეები, დღევანდელი ტერმინოლოგიით - საბიუჯეტო ფედერალიზმი. ასევე იყო XI-XIII საუკუნეების ეპოქაში, როდესაც „ხიხათა ერისთავები“, ერისთავთ-ერისთავ-



„ეკონომიკური კლიმატი“, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფომ, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი პოლიტიკით. თუ ის სასწრაფოდ არ განახორციელებს საფინანსო-ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისა და მძლავრი ეროვნული ეკონომიკის შექმნის გონივრულ სვლეს, მაშინ მას დამოუკიდებლობის „ბალავარი“ დაერღვევა და თავისი გეოსტრატეგიული ადგილისა და მნიშვნელობის მიუხედავად, „ბანანის“ რესპუბლიკას დაემსგავსება. უკეთეს შემთხვევაში კი იქნება მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების სათამაშო „პაიკი“ მხოლოდ.

(გაგრძელება მე-11 გვერდზე)

(დახაწყისი მე-10 გვერდზე)

ვები — აბუსერისძეები ენეოდ- ნენ საქმიანობას რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის. მშენებლობების (სამონტაჟო, ხიდების, გზების და ა.შ.) წარმოებისათვის ახდენდნენ საგადასახადო რესურსების მოპოვებისათვის, საიდანაც კარგად ჩანს, რომ აღნიშნულ კუთხეს ჯერ კიდევ XII-XIII საუკუნეებში გააჩნდა მნიშვნელოვანი ფინანსური დამოუკიდებლობა თავის ტერიტორიაზე ფინანსური რესურსების მოპოვებისათვის, განკარგავსა და გამოყენებაში.

მიუხედავად ძნელბედობისა, საქართველომ ბოლო დრომდე შეინარჩუნა ქვეყნის საბიუჯეტო ფედერალიზმის კონტურები, რასაც საფუძვლად ედო და უდევს ქვეყნის გეოგრაფიულ-ეკონომიკურ-ეთნიკური მახასიათებლები.

ფინანსისტებისათვის აფორიზმად ქცეული გამოთქმა „თუ წარმატებები არ იქნა მიღწეული საფინანსო პოლიტიკაში, სხვა ყველა რეფორმა განწირულია კრახისათვის“ — არც ერთ ქვეყანას ისე არ მიესადაგება, როგორც დღევანდელ საქართველოს, მასში მიმდინარე რეფორმებს, მათ ფინანსურ ადეკვატებს. რადგან წარმატებები არ მიღწეულა ქვეყნის განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო, საგადასახადო, საბაჟო და სხვა უწყებებში მიმდინარე რეფორმების მიხედვით.

საქართველოს ფინანსური და, შესაბამისად, ეკონომიკური პროფილის სხვა კრიზისიდან გამოსვლის მრავალი გზა არსებობს, მათ შორის მთავარი — საბიუჯეტო ფედერალიზმის გზაა, რომლის პირველი კონტურები გამოკვეთილია, კერძოდ საქართველო დაყოფილია 12 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად (მხარედ).

თანამედროვე საქართველოს ფინანსური სიძლიერის ვექტორი საბიუჯეტო ფედერალიზმზე გადის. როგორი ოპერატიულობითა და კომპეტენტურობითაც მოხდება მასზე გადასვლა, ისეთივე იქნება საქართველოს მომავალი, მისი ეკონომიკა, კულტურა, სოციალური და პოლიტიკური ყოფა.

გამოკვლევებმა ცხადყო, რომ საქართველოს გააჩნია ყველა უმნიშვნელოვანესი რესურსი, რათა დროულად მოახდინოს აუცილებელი გარდაქმნები, ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული რეფორმა, დაძლიოს არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ჩამორჩენილობა. უსაფუძვლოა მტკიცება იმისა, თითქოსდა არ გვაქვს წარმოების განვითარებისათვის შესაბამისი რესურსები, მაშინ, როდესაც განვითარების მთავარი რესურსი ხალხია, ინტელექტი.

ჩვენი ხალხის შეგნებაში „დასავლეთი“ და „ევროპა“ იმთავითვე დანინაურებულის, მონინავის, განვითარებულის ცნებათა გამოხატულები იყო. ამის საპირისპიროდ „აღმოსავლეთი“ — ქართველების წინსვლის დაშლბობისა და შემაფერხებლის გამოხატულები. ასეა დღესაც, მსოფლიო ურთიერთობათა სისტემაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ღერძს — „ჩრდილოეთი-დასავლეთი“. ამ სისტემაში საქართველოს გეოსტრატეგიული მიმართულებას გააჩნია ორი შესაძლო ვარიანტი:

პ ი რ ვ ე ლ ი - დააფიქსიროს და მიიღოს ნახევრად პერიფერიული ქვეყნის სტატუსი,

დაამკვიდროს ზუსტად ის მსოფლმეურნეობრივი და პოლიტიკური ურთიერთობების ნიშა, სადაც ჩვენ ქვეყანას არ ექნება იმაზე მეტი პოტენციალის პრეტენზია, ვიდრე მას გააჩნია; აქედან გამომდინარე, მან უნდა მიიღოს ის შედეგი და მიეცეს ის უპირატესობა, რომელიც გააჩნია საშუაშავლო მდგომარეობას ცენტრსა და პერიფერიას შორის. ეს არის რეალური ტენდენცია და მას გააჩნია რეალური საფრთხეც.

მ ე ო რ ე - ჩვენი ქვეყნის გადაქცევა ერთ-ერთ ეკონომიკურად აყვავებულ ქვეყნად, ისეთი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება თანამედროვე მაღალტექნოლოგიური ეკონომიკა, ადამიანთა მაღალი ცხოვრების დონის პირობები, საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა განვითარებული სისტემა და დემოკრატიული ინსტიტუტები.

„დასავლეთი“ თუ „ჩრდილოეთი“? რომლისგან უნდა მივიღოთ საქმიანი წინადადებები და რეკომენდაციები. — აი, ის, რაც ყველა ქართველის წინაშე დგას და რომელიც მოელის დროულ, კვალიფიციურ პასუხს, გადაწყვეტას, ხორცშესხმას.

1996 წლის ივნისში საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა გერმანიის იმდროინდელმა პრეზიდენტმა რომან შერცოგმა თავის ერთ-ერთ გამოხვლაში განაცხადა: „ქართველებს ისეთი დიდი ისტორიული მემკვიდრეობა გაქვთ, რომ სხვისი ქულის სასწავლი არაფერი გჭირთ — თქვენთან რომ სახელმწიფო სამართლის კანონებს ადგენდნენ, ევროპაში მაშინ ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ...“.

ამასვე ეხმიანება ილიას სიტყვები „წარსული-მკვიდრი საძირკველია ანწყოსი, როგორც ანწყო მომავლისა.“

დიახ, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების ძლიერებაში ღონის წილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეკუთვნოდა; ის იყო კარიბჭე ძლიერებისა, რადგან მასზე გადიოდა იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროსთან დამაკავშირებელი ყველა გზა.

ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოზე გაივლის დიდი აბრეშუმის, ნავთობის, ბუნებრივი აირის გზა, რითაც ერთხელ კიდევ დასტურდება ჩვენი წინაპრების მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა მართებულობა, რომ გზები იყო, არის და იქნება აუცილებელი ფაქტორი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

იმისათვის, რომ საქართველო გამოვიდეს უმწვავესი საფინანსო-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური კრიზისიდან, შეიქმნას ძძლაერი ეროვნული ეკონომიკა და მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული მდგომარეობა უმოკლეს ვადებში გაუმჯობესდეს, საჭიროა როგორც მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციებისა და პროცესების გათვალისწინება, ასევე, ქვეყნის სპეციფიკის, მისი ტრადიციებისა და მენტალიტეტის უცილობელი გათვალისწინება. და, სწორედ ეს არის გზა ერთიანი, ძლიერი და აყვავებული საქართველოს მშენებლობისაკენ.

გიორგი აპუსაიძე,
ეკონომიკის დოქტორი,
პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობას ახლადარჩეული თავმჯდომარე ჰყავს. ზურაბ მესხიძე განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტინგის სპეციალობის სტუდენტია. იგი გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს“ სამომავლო გეგმების შესახებ ესაუბრება.

- ზურა, რა შეგიძლიათ გვითხრათ თქვენი საქმიანობის შესახებ, რა გააკეთეთ 19 აპრილიდან დღემდე და როგორია უახლესი გეგმები?

- უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა როგორც კი ახალი სამუშაო ძალით დაკომპლექტდა, მაშინვე დაიწყო მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით. ჩამოყალიბდა საგარეო საქმეთა დეპარტამენტი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ორგანიზაციებთან, მემორანდუმი გავაფორმეთ სასტუმრო „ინტურისტთან“, ასევე ვგეგმავთ კონტრაქტის გაფორმებას „შერატონთან“ და „რედისონ-

შედგა დიდაჭარობას, 12 მაისს, ანდრია პირველწოდებულის დღესთან დაკავშირებით. დაახლოებით 200-მდე სტუდენტი წაიყვანეთ ექსკურსიაზე. ეს არის ტურიზმის ფაკულტეტთან დაფუძნებული ჯგუფი და ძირითადად მასში მონაწილეობას სწორედ ამ ფაკულტეტის სტუდენტები მიიღებენ. ჩვენ ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტთან პროექტის ხელმძღვანელს შუამავლობა გავუწიეთ.

— რა ურთიერთობა გაქვთ დღეს თვითმმართველობის იმ წევრებთან, რომლებთანაც სულ რამდენიმე თვის წინ მეტოქეობა გაკავშირებდათ?

— დღეს დაძაბულობა თითქმის აღარ არის. ერთმანეთთან ვთანამშრომლობთ და ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ სტუდენტური ცხოვრება გავაუმჯობესოთ და თითოეულმა სტუდენტმა იგრძნოს, რომ მისი აზრი გადამწყვეტია.

— რა შეგიძლიათ გვითხრათ ბიუჯეტის შესახებ, აპირებთ მის „გასაჯაროებას“? მოგეხსენებათ, თითოე-

სტუდენტური თვითმმართველობა ახალი სამოქმედო პროგრამით

თან“. აღნიშნულ სასტუმროებში თუკი ვაკანსია გამოცხადდება, ისინი ჩვენ გვაცნობენ. ჩვენ შუამავალი რგოლი ვიქნებით ზემოთ ხსენებულ დანესებულებებთან.

ასევე, უკვე დაიწყო მონიტორინგის ჩატარება, თუ რა პრობლემები აქვთ სტუდენტებს, რა მიზნები აქვთ, რა უნდათ რომ გააკეთონ და საერთოდ აპირებენ თუ არა ჩართვას სტუდენტურ ცხოვრებაში. ჩვენ განვახორციელებთ რამდენიმე პროექტს, საინტერესო ღონისძიებები, წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შევაგროვებთ წიგნები, რომელთა ნაწილიც გაიყიდა და შემოსული თანხა უნივერსიტეტის სოციალურად დაუცველ სტუდენტთა ფონდში ჩაირიცხა. ის წიგნები, რომლებიც ვერ გაიყიდა, პატიმრებს ვაუგზავნეთ. ასევე თვითმმართველობასთან არსებობს „კომპინ ჯგუფი“, რომელიც გეგმავს სხვადასხვა გაცვლით ღონისძიებას და პირველი დიდი ღონისძიება

ული სტუდენტის სწავლის ქირის 1% სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტში ირიცხება. იქნება მათთვის ცნობილი, რაში იხარჯება მათი ჯიბიდან შემოსული თქვენი დაფინანსება?

— ჩემი თხოვნით ადმინისტრაციაში გამოყოფილია პიროვნება, ვინც აღრიცხავს ფინანსურ ხარჯებს. გაგიხელოთ საიდუმლოს და გეტყვით, რომ ერთი თვის თავზე წარვადგინებ დეტალურად რამდენი, სად და რაში დაიხარჯა, ასევე, თუ რამდენი დაიხარჯება ამ სემესტრში. თვითმმართველობას კონკრეტულად მისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი არ აქვს. დებულებაში წერია, რომ შეუძლია 1%-ის გამოყენება, რაც 60-დან 100 000 ლარია, მაგრამ, შეიძლება ვერ აითვისოს ეს თანხა, ან ზედმეტიც დაგჭირდეს. უბრალოდ, ჩვენ ვართ რგოლი არა მარტო შიდა საუნივერსიტეტო საქმიანობაში, არამედ სხვა ორგანიზაციებთან და საინიციატივო ჯგუფებთან თანამშრომლობის

დროსაც.

მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობას ახალი თავმჯდომარე ჰყავს, ერთ თვეზე მეტი დრო გავიდა.

თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით და საერთოდ თვითმმართველობის მუშაობის შესახებ ასევე საინტერესოა უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ალიოშა ბაკურიძის მოსაზრება. შეკითხვაზე — თუ როგორ შეაფასებდა თვითმმართველობის არჩევნებს და მიმდინარე პროცესებს, აღნიშნა:

„ის ლაფსუსები რაც თვითმმართველობის წინა საარჩევნო კომპანია და ზოგადად არჩევნებს ახლდა, იყო უბრალოდ გამოუცდლობის ბრალი, რადგანაც ყველაფერი სტუდენტებმა დაგვემეს და გააკეთეს, და ბუნებრივია, არჩევნებს ყოველთვის ახლავს ასეთი უთანხმოებები.“

ასე თუ ისე, არჩევნები ჩატარდა და სტუდენტებმა თავიანთი არჩევანი ზურა მესხიძეზე შეაჩერეს, თუ როგორ

განვითარდება მოვლენები ამას დრო გვიჩვენებს.“

საინტერესოა სტუდენტების აზრიც, რადგან თვითმმართველობა მათ სამსახურში უნდა იყოს, იგი სტუდენტებს უნდა ეკუთვნოდეს. ისინი ჯერჯერობით ახლადარჩეული თავმჯდომარის წინსვლაზე ვერაფერს ამბობენ, რადგან მიაჩნით, რომ ჯერ შეფასების გაკეთება ადრეა.

სტუდენტმა ლევან ტარიელაძემ კი დააკონკრეტა: „ვეფიქრობ, შესაძლებელი იქნებოდა, ამ დროის განმავლობაში ზურას ბევრი რამ გაეკეთებინა, მაგრამ აქტიური ადამიანი და ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ ჩვენმა უნივერსიტეტმა კვლავ წამყვანი ადგილი დაიჭიროს. აქვე აღვნიშნავ, ამისთვის საჭიროა თანამშრომლობა და ურთიერთშეთანხმებული მუშაობა.“

სალომე მჟავანაძე,
ისტორიის სპეციალობის მესამე
კურსის სტუდენტი

მოსაზრენარი

ხახაბერ წვერაჰვა

ადამიანი მიდის ამ ქვეყნიდან და რჩება მისი შინასახე, პირადი საქმე და შთამომავლობა. გასული საუკუნის ჩვენი პედაგოგიური ინსტიტუტის 70-80-იანი წლების თაობის ერთ-ერთი უბრალო, თავმდაბალი, შემოქმედი ადამიანის კახაბერ წვერაჰვას ცხოვრების კალენდრის გადაფურცვლისას ნამით შევეჩერდით მაშინდელი რექტორის დურსუნ ბალაძის 1979 წლის 25 სექტემბრის ბრძანებაზე, რომელშიც თანამშრომელთა ერთი ნაწილის სრულიად საკავშირო აღწერაში წარმატებით მონაწილეობისათვის უცხადებოდა მადლობას. მათ შორის ჩვენს კოლეგების დიდი ნაწილი დღეს ცოცხალი აღარაა, მაგრამ ჩვენში დარჩა მათი კეთილი სახეები, ადამიანთა შორის მეგობრული, თბილი დამოკიდებულების დაუვიწყარი დღეები. გალაქტიონს უთქვამს: „მესაფლავე შენ ამბობ რომ ქვეყანაზე ვინც კი კვდება, იმწუთსვე ყველა ჩვენგანს ავიწყდება?!“ — ეს შეუძლებელია იმიტომაც, რომ ჩვენ კარგი ცხოვრებიდან მოვიდვართ. დღეს კი ყველაფერს სხვა ელფერი მიეცა. ისევ აღორძინდა ერთ დროს მივიწყებული ლათინური გამოთქმა, რომ ადამიანი ადამი-

ანისთვის მგელია. კახაბერ წვერაჰვამ მთელი მისი შეგნებული ცხოვრება უნივერსიტეტში გაატარა. დაბადებულა ბათუმში 1950 წლის 8 სექტემბერს. 1957-1965 წლებში სწავლობდა ბათუმის №1 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. 1975 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი და მიენიჭა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია. ბავშვობიდან გამოირჩეოდა მუსიკალური ნიჭით და ინსტიტუტში სწავლის პარალელურად 1970-1974 წლებში ბათუმის №2 მუსიკალურ სკოლაში დაუფლდა მუსიკალურ განათლებას. მუსიკალურ სკოლადამთავრებულს მიეცა მუშაობის უფლება კონცერტმანისტურად, მუსიკალური ჯგუფების ხელმძღვანლად, არტისტად, ხალხური მუსიკალური საკრავების ორკესტრის ხელმძღვანელად.

კახაბერ წვერაჰვა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი იყო, შესანიშნავად უკრავდა სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე და მათ შორის, განსაკუთრებით ფორტეპიანოზე. მისი მუსიკალური ტალანტი გამორ-

ჩეულად გამოვლინდა პედინსტიტუტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე მოღვაწეობის ხანაში.

მას უმოღვაწია პროფესორ ალი მსხალაძესა და სახელგანთქმულ ანსამბლ „ორნანოსთან“, პროფესორ ოთარ გიორგაძესთან, ქორეოგრაფებთან ქემელ ჩიჩუასა და თემურ ბუჟანიძესთან, ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ტბეთთან“ და ა.შ. მას ახალგაზრდა შემოქმედი ადამიანის ნიჭის გამოვლენის და დაფასების დიდი უნარი გააჩნდა. კახაბერ წვერაჰვამ დიდი შრომა გასწია სტუდენტურ კლუბში სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე ყოფნისას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით უნივერსიტეტში არაერთი სტუდენტური დღეები გაიმართა. კახაბერ წვერაჰვამ შესანიშნავი ქართული ოჯახი შექმნა. მისი მეუღლე ქალბატონი ნალიმა გოგია მედიცინის მუშაკია. დავითი ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, ხოლო ლევანი კი ფარმაცევტი. კახაბერმა ახლახან იზეიმა ახალმოსახლეობა, მაგრამ არ დასცალდა მისი შრომით შექმნილ ოჯახში მხიარულება, ღმერთმა აცხონოს მისი სული და ღმერთო უმრავლეს მას შთამომავლობა.


მირაზ მებრელიშვილი



ბგერა ბუნებაში

ბგერით ტალღებს ან უბრალოდ ბგერას უწოდებენ ტალღებს, რომელსაც ადამიანის ყური აღიქვამს. ტალღები აირებში - ჩვენს სასიცოცხლო გარემოში ინვეს განსაკუთრებულ ინტერესს. ფიზიკის ნაწილს, რომელიც ბგერით მოვლენებს შეისწავლის, აკუსტიკა ეწოდება.

აირში ბგერების გავრცელებისას ატომები და მოლეკულები ირხევიან ტალღების გავრცელების მიმართულუბით. ბგერით ტალღებს აირში ხშირად სიმკვრივის ტალღებს ან წნევის ტალღებს უწოდებენ. ბგერის ფიზიკური ცნება არ შემოიფარგლება ადამიანის



სმენადობის შესაბამისი სიხშირის ბგერით. ადამიანი შეიგრძნობს 16 ჰც-დან 20000 ჰც-მდე სიხშირის ბგერებს. 16 ჰც-ზე დაბალ ბგერებს ინფრაბგერა ეწოდება, 20000 ჰც-ზე მაღალს კი - ულტრაბგერა. თუ გიტარას ხელს ჩამოვკრავთ, იგი რხევას დაიწყებს, მის გარშემო მყოფი ჰაერი ბევრჯერ შეიკუმშება და გაიშლება. ამ ტალღებს ბგერითი ტალღები ჰქვია. ისინი უხილავია, მაგრამ როდესაც ყურს მიაღწევენ, დაფის აპკის რხევას ინვევენ და ბგერაც გვესმის. ბგერითი ტალღა მყარ სხეულშიც გადის, სითხეშიც და აირშიც. იგი მხოლოდ ვაკუუმში (ცარიელ სივრცეში) არ ვრცელდება.

ბგერითი ტალღა ჰაერში 330 მ/წმ სიჩქარით ვრცელდება, თუმცა ტემპერატურის ცვლილებასთან ერთად ეს სიდიდეც იცვლება. ბგერა დაახლოებით მილიონჯერ ნელა ვრცელდება, ვიდრე სინათლე, ამიტომაც, რომ ჯერ გაეღებება ვხედავთ და მხოლოდ ამის შემდეგ გვესმის ქუხილი.

ზებგერითი თვითმფრინავი ბგერაზე სწრაფად ფრენს და ტალღებს წარმოქმნის, როგორც სწრაფად მცურავი ნავის წინ წარმოიქმნება ტალღები. როდესაც დარტყმითი ტალღა ჩაგვივლის, „ბგერითი დარტყმაც“ გვესმის.

სმენის კუროზება

როდესაც ჩვენ ხმელ ორცხობელას ვხრავთ, გვესმის გამაყრუებელი ხმაური, ამავედროულად კი ჩვენს გვერდით იმავე ორცხობელას შედარებით უხმაუროდ შეექცევიან. როგორ ახერხებენ ისინი ამ ხრამახრუმის თავიდან აცილებას? ხმაური მხოლოდ ჩვენ გვესმის. თავის ქალას ძვლები, როგორც ყოველი მყარი და დრეკადი სხეული, ბგერას ძალიან კარგად ატარებს, ის კი მკვრივ არეში ხანდახან ძალიან ძლიერდება. აი კიდევ ცდა იმავე დარგიდან: რგოლით დაიჭირეთ კბილებით ჯიბის საათი, ყურებში თითები მჭიდროდ დაირჭეთ. საათის ნიკნიკის ნაცვლად თქვენ გაიგონებთ მძიმე დარტყმას.

ამბობენ, როდესაც ბეთჰოვენი დაყრუვდა, ის ასე ისმენდა როიალს: თავისი ხელჯოხის ერთ წვერს როიალს მიაბჯენდა, მეორეს კბილებთან მიიტანდა. ასევე ყრუ-მუნჯებს, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ შიგნითა ყური, შეუძლიათ მუსიკის დაკვრაზე იცეკვონ. ბგერები აღწევს მათი სმენის ნერვებს იატაკისა და ფეხის ძვლების საშუალებით.

ამერიკელ იუმორისტს, ერთ-ერთ თავის მოთხრობაში აღწერილი აქვს სასაცილო ამბავი ერთი კოლექციონერის ფათერაკიანი თავგადასავლის შესახებ, რომელმაც განიზრახა კოლექციის შედგენა... თუ იცით რის? - გამოძახილის.

ის ყიდულობდა მინის ყველა იმ ნაკვეთს, სადაც მრავალჯისი ან რაიმე შესანიშნავი გამოძახილი წარმოიქმნებოდა. გამოძახილი ნამდვილად არსებობს დედამიწაზე, უმთავრესად მთაგორიან ადგილებში და ზოგ მათგანს დიდი ხნიდან აქვს საქვეყნოდ სახელი განთქმული. არც თუ ისე ადვილია იმ ადგილის მოძებნა, სადაც გამოძახილი მკაფიოდ გაისმის. კარგად ისმის გამოძახილი ტყით გარემოცულ მინდორებში. საკმარისია ასეთ მინდორზე წამოიყვირო, რომ ტყის კედელმა გამოსცეს მკაფიო ხმა.

გამოძახილი არის რომელიმე დაბრკოლებისაგან არეკლილი ბგერითი ტალღების უკან დაბრუნება. ისევე როგორც სინათლის არეკვლის დროს, ბგერითი სხივის დაცემის კუთხით უდრის მისი არეკვლის კუთხეს. რაც უფრო მკვეთრია და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბგერა, მით უფრო მკაფიოა გამოძახილი. მისი გამოწვევა უფრო მარჯვეა ტაშის ცემით. ქალისა და ბავშვის ხმათა ტონი იძლევა შესამჩნევად მკაფიო გამოძახილს.

ბგერითი სარკეები

მაღალი ლობე, შენობა, მთა - ყველა ზღუდე, რომელიც არეკლავს ბგერას, არის იგივე სარკე ბგერისთვის. ყოველი ჩამოთვლილი დაბრკოლება არეკლავს ბგერას ისე, როგორც ბრტყელი სარკე სინათლეს.

ბგერითი სარკე შეიძლება იყოს არა მარტო ბრტყელი, არამედ მრუდიც. ჩაზნექილი სარკე მოქმედებს როგორც რეფლექტორი: „ბგერის სხივებს“ თავს უყრის თავის ფოკუსში.

ორი მათლაფის საშუალებით შეგვიძლია ჩავატაროთ ცდა: ერთი მათლაფა მაგიდაზე დავდოთ და მის ფსკერთან, რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით ხელით დავიჭიროთ ჯიბის საათი. მეორე თეფში მივიტანოთ ყურთან. თუ თეფშებისა და საათის მდებარეობა მონახულია ნესიერად (ამას აღწევენ ცდების შემდეგ), მაშინ გავიგონებთ საათის ნიკნიკს, თითქოს ეს ყურთან მიტანილი თეფშიდან გამოდიოდეს. ილუზია ძლიერდება, თუ თვალებს დავხუჭავთ. ამ შემთხვევაში შეუძლებელია სმენით იმის გამორკვევა, თუ რომელ ხელში გვიჭირავს საათი.

შუა საუკუნეთა ციხე-დარბაზების

მშენებლები ბგერით კუროზებს ქმნიდნენ და ქანდაკებებს დგამდნენ ან ბგერითი სარკის ფოკუსში, ან კედელში ოსტატურად დამალული სალაპარაკო მილის ბოლოში. ასეთ დარბაზში შესულს ისე მოეჩვენება, თითქოს მარმარილოს ქანდაკებები ჩურჩულებენ, ღიღინებენ და ა.შ

ბგერა თეატრის დარბაზში

ვინც თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში დადის, კარგად იცის, რომ დარბაზს შეიძლება ჰქონდეს ცუდი და კარგი აკუსტიკა. ზოგიერთ დარბაზში მსახიობების ხმა და მუსიკალური ინსტრუმენტების ფლერა დიდი მანძილიდანაც მკაფიოდ მოისმის, ზოგში ხმები ახლოდანაც გაურკვეველია. ამ მოვლენის მიზეზი კარგად არის გადმოცემული ამერიკელი ფიზიკოსის, ვუდის ნიგნში: „ბგერითი ტალღები და მათი გამოყენება“. მაგალითად, თუ ბგერა სამ წამს გრძელდება და ორატორი წამში სიტყვის სამ მარცვალს წარმოთქვამს, მაშინ ბგერითი ტალღების სათანადო ცხრა ხმოვანი მარცვალს ოთახში ყველა ერთად დატრიალდება და შექმნის ისეთ გაურკვეველობასა და ხმაურს, რომ მსმენელი სრულებით ვერ შეძლებს ორატორის ნათქვამის გაგებას.

თუ ბგერის დამჭერობა ძალიან დიდია, გარემოებაც აუარესებს სმენადობას. გადაჭარბებული დამჭერობა ბგერის ოდნავ დაყრუებას ინვეს. თეატრში არის ისეთი რამეც, რაც ფიზიკის თვალსაზრისით საინტერესოა: მოკარნახის ჯიხურა.

მიგიტყვევიათ თუ არა ყურადღება, რომ ყველა თეატრში ამ ჯიხურების ფორმა ერთნაირია? ეს იმიტომ, რომ მოკარნახის ჯიხურა თავისებური ფიზიკური ხელსაწყოა. ჯიხურას თალი წარმოადგენს ჩაზნექილ ბგერითი სარკეს, რომელსაც ორგვარი დანიშნულება აქვს: დაიჭიროს მოკარნახის ბაგედან მსმენლისაკენ წასული ბგერითი ტალღები და გარდა ამისა, არეკლოს ეს ტალღები სცენის მიმართულებით.

მწერების ბზუილ-ზუზუნი

რატომ გამოსცემენ მწერები ბზუილ-ზუზუნის ხმებს? მათ უმეტეს შემთხვევაში არც აქვთ საამისოდ რაიმე განსაკუთრებული ორგანოები. ბზუილი მწერის ფრენის დროს გვესმის. გამოწვეულია იმით, რომ როდესაც მწერები ფრინავენ, ფრთებს ძალიან სწრაფად



ამოძრავებენ. მწერის ფრთა არის რხევადი ფირფიტა. ვიცით, რომ ყოველი ფირფიტა, თუ ის საკმაო სიხშირით (წამში 16-ჯერ უფრო ხშირად) ირხევა, წარმოშობს გარკვეული სიმაღლის ტონს.

„დროის ლუპის“ საშუალებით მოხერხდა იმის გამორკვევა, რომ ყოველი

მწერის ფრთების აქნევათა რიცხვი წამში მატულობს მხოლოდ სიცივის შემოქმედებით. მაგალითად, ოთახის ბუზი, რომელიც წამში ფრთების 352 აქნევას აკეთებს. ფუტკარი, რომელიც გამოსცემს ტონს A-ს, წამში 440-ჯერ იქნევს ფრთებს და სულ რაღაც 330-ჯერ, როცა ის თავლითაა დატვირთული. კოლო წამში 500-600 რხევას აკეთებს. შესადარებლად აღვნიშნოთ, რომ თვითმფრინავის პროპელერი წამში საშუალოდ 25 ბრუნს ასრულებს.

როგორ იზომება ხმაური?

თუ რაიმე მიზეზის გამო მოგვეჩვენება, რომ ოდნავი ხმაური, რომელიც ჩვენ შემოგვესმის, წარმოიშობა არა ჩვენ ახლოს, არამედ უფრო შორს, მაშინ ბგერა მოგვეჩვენება გაცილებით უფრო ხმამაღალი.

საინტერესო შემთხვევა, რომელიც თავის „ფსიქოლოგიაში“ ამერიკელმა მეცნიერმა, ვილიამს ჯეიმსმა აღწერა:



„ერთხელ, გვიან ღამით, ვიჯექი და კითხულობდი. უცებ სახლის ზედა ნაწილში საშინელი ხმაური გაისმა. იგი ერთი წუთით შეწყდა და მერე ისევ განახლდა. სასტუმრო ოთახში გავედი ხმაურის გასაგონად, მაგრამ იქ აღარ გამეორებულა. როგორც კი დავბრუნდი ოთახში, აღმოვაჩინე, რომ ხმაურს ქმნიდა თავისი ხვრინვით პატარა ძაღლი, რომელსაც იატაკზე ეძინა... ამასთანავე საყურადღებოა, რომ როგორც კი მივხვდი ხმაურის ნამდვილი მიზეზს, მე უკვე ვეღარ შეეძელი წინანდელი ილუზიის განახლება.“

რა საჭიროა სხვადასხვა ცვალებადი სიხშირის გაურკვეველი ნარევის, ხმაურის შესწავლა? მისი ყოველმხრივი გამოკვლევა დაიწყეს ამ ბოლო ხანებში, როცა გამოიჩინა, რომ ძლიერი ხმები აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას. ხმამაღლობის ერთეულად მიჩნეულია 1 ბელი (ტელეფონის გამომგონებლის, ბელის საპატივცემულოდ), რომელიც უდრის 10 დეციბელს, პრაქტიკაში იხმარება როგორც უფრო წვრილი საზომი. ნელი ჩურჩული ჩვენი ყურიდან ორ ნაბიჯზე, ან ნიავის დროს ფოთლების შრიალი განისაზღვრება 10 დეციბელით, ხმამაღალი ლაპარაკი - 65 დეციბელით.

თუ თქვენ იცით, რომ ჩუმი ავტომობილი იძლევა ხმაურს 5 ბელით, ფოთლების შრიალი 1 ბელით, მაშინ ავტომობილი იძლევა ხმოვანებას, რომლის ფიზიკური ძალა (ენერჯია) მეტი იქნება ფოთლების შრილის ენერჯიაზე 104-ით, ე.ი. 10.000-ჯერ. 80 და მეტი ბელის ხმაური ჯანმრთელობაზე მავნე გავლენას ახდენს. ირღვევა გულის რიტმი, იმატებს სისხლის წნევა და ა.შ.

ილონა დუმბაძე,
ფიზიკის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი

აკადემიკოსი:
იოსებ სანიკია
სკანდალისტი:
ნესტან ბაგვაჩაძე



საკადაქმო კოლეჯი:
ნანა მახსკაძე
ინგა შაშილიძე
ნათია ნიკოლაშვილი
ნილო დოლიძე
მარგალიტა პოპოვა
დავით ბაკათაძე
გუგაჩიანი
მონა ბაგვაჩაძე
უნა აბაშიძე

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში“
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7